# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭდის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 9 ივნისი. 2016 წ. №105 (7997), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

## შეფურთხებული მართლმსაჯულება

### ხედავთ, რა ყოფილა ეს „ცრუსთავი-2“?!



ოდესის გუბერნატორისგან „ცრუსთავი-2“-ის გენერალურ დირექტორად დაქირავებულ გვარამია-ვარამია-არამიას პროპაგანდისტულ ფანტაზიას თუ ფანტასტიკურ პროპაგანდას ნამდვილად საზღვარი არა აქვს.

ა, ბატონო, ამის დასტური. ევროკავშირი თურმე იმიტომ ეუბნება საქართველოს უარს ვიზალიბერალიზაციაზე და ნატოშიც იმიტომ არ გვიღებენ, რომ საქართველოს ამჟამინდელი მთავრობა „რუსთავი-2“-ს, ანუ თავისუფალ სიტყვას ებრძვის.

აქაოდა ტელევიზია ჩემია და ეკრანს როგორც მინდა, ისე გამოვიყენებო, დგას ეს „პუჭურა“ გენერალური დირექტორი და ატყუებს მიამიტ ადამიანებს, რომელთაც გუშინდელი ჯალათები ხვალ პენსიის 50 ლარით გაზრდას და, საერთოდ, ბედნიერ ცხოვრებას ჰპირდებიან, რასაც, სამწუხაროდ, ზოგ-ზოგნი იჯერებენ კიდეც.

არადა, თუ თავის კანონიერ მესაკუთრეს დაუბრუნდა წართმეული „იმედი“, რომლის გენერალურ დირექტორად ასევე სააკანთ ბიჭის დანიშნული პოლიტიკური ნაძირალა გიორგი არველაძე იყო, რატომ თავის კანონიერ მესაკუთრეს არ უნდა დაუბრუნდეს ასევე სხვისთვის წართმეული „რუსთავი-2“-იც, რომლის ყოფნა-არყოფნაზეც ჰკიდია თურმე სრულიად საქართველოს ბედი?!

ისე, ბოლოს და ბოლოს, მაინც როდემდე უნდა ვუყუროთ აგრერიგად გათავხედებული ნიკას შოუს?! ნუთუ ასე დაკნინდა და დაუძლურდა ქართული მართლმსაჯულება, რომ ამდენი ხნის განმავლობაში მთელი მსოფლიოს დასანახად აფურთხებინებს ერთი დამნაშავე პარტიის ერთ ვიგინდარა წარმომადგენელს, და თანაც რატომღაც სულაც არ ცდილობს ამ ფურთხის ჩამოწმენდას...



## საქართველოს პრეზიდენტი NATO-ს გენერალურ მდივანს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, ბრიუსელში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, NATO-ს გენერალურ მდივანს იენს სტოლტენბერგს შეხვდა. შეხვედრა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შტაბბინაში გაიმართა.

შეხვედრისას მხარეებმა საქართველოსა და NATO-ს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შემდგომი გაძლიერების საკითხები განიხილეს. გიორგი მარგველაშვილმა მადლობა გადაუხადა იენს სტოლტენბერგს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მტკიცე მხარდაჭერისათვის.

მხარეებმა როგორც რეგიონული, ისე გლობალური სტაბილურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, საქართველოს როლის შესახებ ისაუბრეს. აღინიშნა, რომ საქართველო საკუთარი ვალდებულებების ერთგული რჩება და როგორც NATO-ს არაწევრ სახელმწიფოთა შორის, საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში ყველაზე დიდ კონტრიბუტორ ქვეყანას, წვლილი შეაქვს საერთო ევროატლანტიკურ კეთილდღეობაში.

საუბარი შეეხო ვარშავის სამიტის მზადების პროცესს და 26 მაისს NATO-ს ჯარისკაცების მონაწილეობას ჩვენს ღონისძიებაში, იმ წვრთნებს, რომელიც NATO-ს ჯარისკაცების მეშვეობით განხორციელდა საქართველოში. შეხვედრისას მომავალ თანამშრომლობაზეც იმსჯელეს, ასევე აღინიშნა, რომ NATO-ს წვრთნები საქართველოში უფრო ინტენსიურად უნდა ჩატარდეს, — განაცხადა ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ირინე იმერლიშვილმა.

## MAP-ის გარეშეც ბევრი რამის გაკეთებაა შესაძლებელი?

მნიშვნელოვანია, გავაცნობიეროთ, რომ MAP-ის გარეშეც ბევრი რამის გაკეთებაა შესაძლებელი, რათა მივიღოთ უფრო მეტი ნატო საქართველოში, ასევე უფრო მეტი საქართველო ნატო-ში, — ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ბრიუსელში, საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

იენს სტოლტენბერგი მიესალმა იმ პროგრესს, რომელიც საქართველოსთან ურთიერთობებსა და თანამშრომლობის დროს იქნა მიღწეული. მისივე თქმით, საქართველოს უკვე აქვს ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი ნატო-საქართველოს კომისიასთან, ყოველისმომცველ პაკეტთან.



**ფრიდონ თოდუა:**

## ჩვენ ახლა ვიმყოფებით განვითარების მნიშვნელოვან ეტაპზე

3

### როცა ყველას სკამი ელანდება...



## ქართველები დიდ ღლავს დაიჭერთ, თუ...

**ფხიზლად უნდა იყოს ქართველი ხალხი, რათა დასავლეთის ყურმოჭრილი მარიონეტები სააკისტების სახით საქართველოს ხელისუფლებაში არ დაბრუნდნენ.**

4

ოლიმპიური ჩემპიონი

## ძლევის-ჯვრელი მძლეთა-მძლე

10



## ნორბერტ ლამერტი: მოიძებნება კონკრეტული მექანიზმები, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ვიზალიბერალიზაცია

ბრიუსელში გაიმართება შს მინისტრების შეხვედრა. ჩვენ გვაქვს დეკლარირებული ინტერესი, რომ ამ შეხვედრაზე მოიძებნება კონკრეტული მექანიზმები, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ვიზალიბერალიზაცია, — ამის შესახებ გერმანიის ბუნდესტაგის პრეზიდენტმა ნორბერტ ლამერტმა დავით უსუფაშვილთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, მას შემდეგ, რაც საქართველომ შეასრულა ყველა ვალდებულება, გერმანიას აქვს დეკლარირებული ინტერესი, მოიძებნოს ისეთი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, საქართველოში არჩევნების ჩატარებამდე ვიზალიბერალიზაციის საკითხი ღიად არ დარჩება. ნორბერტ ლამერტმა აღნიშნა, რომ დროულად უნდა გადაწყდეს ევროკავშირის შიგნით არსებული პრობლემები, ვიზალიბერალიზაციის საკითხი არ არის ორმხრივი ურთიერთობების საკითხი, ეს არის ევროპული გადაწყვეტილება.

## ვიზალიბერალიზაციის პროცესი მალე და წარმატებით დასრულდება



**საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ევროკავშირის ევროპული საბჭოს პრეზიდენტს დონალდ ტუსკს შეხვდა. შეხვედრა ევროპული საბჭოს სათაო ოფისში გაიმართა, რომელსაც პრეზიდენტი ქართულ დელეგაციასთან ერთად ეწვია.**

მხარეებმა საქართველო-ევროკავშირის ინტეგრაციის პროცესზე ისაუბრეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღების საკითხს. მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ აღნიშნული პროცესი მალე და წარმატებით დასრულდება.

შეხვედრისას საუბარი ევროკავშირის წინაშე არსებულ მიმდინარე სირთულეებსაც შეეხო. მხარეებმა მსოფლიოს მასშტაბით უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამყარებისა და შენარჩუნების აუცილებლობაზე ისაუბრეს. ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს, როგორც ევროკავშირის პარტნიორი ქვეყნის როლი მსოფლიო უსაფრთხოების დაცვის სფეროში, და ჩვენი კონტინგენტების მონაწილეობა სხვადასხვა სამშვიდობო მისიებში.

საქართველოსა და ევროკავშირის პრეზიდენტებმა ჩვენს რეგიონში არსებული სიტუაცია შეაფასეს და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა განიხილეს. განსაკუთრებული ხაზგასმით აღინიშნა ბოლო დროს მომხდარი შემაძრწუნებელი ფაქტი, რომელიც საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს მოქალაქის მკვლელობას უკავშირდება.

შეხვედრის დასასრულ ქვეყნის პირველმა პირმა დონალდ ტუსკს კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა მისი პირადი ჩართულობისა და საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის გაძლიერებაში პირადად შეტანილი წვლილისათვის.

### ◉ სრულიად არადიპლომატიური სათრევლა



## ვიწყებ „იმე"-თი

იან კელი რომ იან კელია,
რაკი მის ახლო ღრიანკელია,
ვნატრობ, ნეტავი ვინმეს ერჩია,
შხამს აერიდოს, რადგან ელჩია
და იმ საქმეში ნუ ჩაეჩრება,
გზას რომ ამრუდებს და არ შერჩება,
როგორც ზოგ-ზოგებს შერჩა „იმედი"!
არადა, ვნახოთ, დღეს სად მივედით?!

* * *

დღეს თქვენ „ცრუ-ს თავ-ორს" იცავთ, იან კელ,
და გვარამიას იცავთ, იან კელ,
„იმედის" დამრბევს იცავთ, იან კელ
და არ გადარდებს, ვის რა მიაკელ!

* * *

იმერეთში ვარ, ვიწყებ „იმე"-თი:
— ბოშო, მართლა არ გახსოვს „იმედი"?!

**ალექსანდრე შენგელია**
**ქუთაისიდან**

## პრემიერ-მინისტრი UNECE-ს აღმასრულებელ მდივანს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) აღმასრულებელ მდივანს კრისტიან ფრის ბახს შეხვდა.**

მხარეებმა „გარემო ევროპისთვის" მერვე მინისტერიალის ფარგლებში განსახილველ საკითხებზე ისაუბრეს, რომელიც ბათუმში იმართება.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელ მდივანს მადლობა გადაუხადა კონფერენციის ფარგლებში თანამშრომლობისა და იმ ძალისხმევისთვის, რომელსაც ორგანიზაცია რეგიონის ქვეყნებში გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით იჩენს.



შეხვედრისას აღინიშნა, რომ UNECE-ის პროცესი — „გარემო ევროპისთვის" და მინისტრთა კონფერენციები ხელს უწყობს რეგიონის ქვეყნების თანამშრომლობას და მნიშვნელოვან გარემოსდაცვით საკითხებზე მსჯელობის, პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის და კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავების საშუალებას იძლევა.

ბათუმის მინისტერიალში 56 ქვეყნის 600-მდე ოფიციალური დელეგატი მონაწილეობს.

## ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება წინასაარჩევნო პერიოდში იზღუდება

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება წინასაარჩევნო პერიოდში იზღუდება.**

ამის შესახებ კვირიკაშვილმა წინასაარჩევნო პროცესის თემაზე კომენტირებისას ბათუმში განაცხადა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, არჩევნების თაობაზე კონტრასიგნაცია გაკეთდა მთავრობის სხდომის განკარგულების მიხედვით და 8 ივნისიდან, ოფიციალურად, საქართველოში დაიწყო წინასაარჩევნო პერიოდის ათვლა.

„რაც იმას ნიშნავს, რომ მთელი რიგი რეგულაციები კანონმდებლობის მიხედვით შედის ძალაში და საქართველოში სტანდარტი წინასაარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული. შესაბამისად, იზღუდება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება. ეს არის დემოკრატიის კუთხით წინგადადგმული ნაბიჯი და ვფიქრობთ, რომ კონსულტაციებმა, რომელიც გაიმართა პრეზიდენტთან და პარლამენტთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო", — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა ბათუმში მიმდინარე „გარემო ევროპისთვის" მინისტერიალზე.

## რუსეთის ზეწოლის წინააღმდეგ საუკეთესო საშუალება წარმატებული და დემოკრატიული საქართველოა!



**ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ვიქტორია ნულანდის განცხადებით, შეერთებული შტატები საქართველო-აშშ-ის თანამშრომლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას დაუთმობს.**

შესაბამისი განცხადება ვიქტორია ნულანდმა ამერიკის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე გააკეთა.

„ვარშავის სამიტზე ალიანსი კიდევ ერთხელ დაადასტურებს იმ გზავნილს, რაც საქართველოს წევრობაზე 2008 წელს ითქვა. ვცდილობთ, ხელახლა მოვახდინოთ ორიენტირება შეერთებული შტატებისა და საქართველოს, ასევე ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე უსაფრთხოების კუთხით. ეს გულისხმობს არა მხოლოდ იმას, რომ ქართული ჯარები მოვამზადოთ ავღანეთისთვის ან კოსოვოსთვის, არამედ უფრო მეტად ვიყოთ ორიენტირებული შიდა უსაფრთხოების საჭიროებებსა და ეროვნულ თავდაცვაზე", — განაცხადა ნულადნმა.

მისი თქმით, აშშ-სთვის მნიშვნელოვანია, რომ იყოს საქართველოს მისწრაფებების მტკიცე მხარდამჭერი.

„რუსეთის ზეწოლის წინააღმდეგ საუკეთესო საშუალებაა წარმატებული და დემოკრატიული საქართველო. ამიტომ ვმუშაობთ მათთან სასამართლოს რეფორმაზე, სამართლის უზენაესობაზე, ძლიერი ინსტიტუტების ჩამოყალიბებაზე, ასევე ბაზრებზე წვდომის კუთხით. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობაშიც, რაც გულისხმობს სავაჭრო სარგებლის ნახვას, მაგალითად აფხაზებისთვის. ერთ დღესაც ამ ტერიტორიებმა შესაძლოა, მიიღონ უფრო მეტი სარგებელი თბილისისგან, ვიდრე ნებისმიერი მეზობელი სთავაზობს მათ", — აღნიშნა ვიქტორია ნულანდმა.

### ◉ ფიცი მწამს...

## გაერომ რეზოლუცია მიიღო

**აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ლტოლვილთა სტატუსის შესახებ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 70-ე სესიაზე კიდევ ერთი რეზოლუცია მიიღო.**

მხარდამჭერი 76 ქვეყანა აღმოჩნდა, 15 იყო წინააღმდეგი, 64-მა კი თავი შეიკავა.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ზალკალიანმა უწყებაში გამართულ ბრიფინგზე განმარტა, რეზოლუცია მოუწოდებს ჟენევის მოლაპარაკებების მონაწილეებს, გააქტიურონ ძალისხმევა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ლტოლვილთა საკუთარ სახლებში დაბრუნებას.

### ◉ ბოლო მაკვირვებს!..

## საოკუპაციო ხაზი და ახალი ბანერი

**მიმდინარე წლის 6 ივნისს, რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალების მიერ, ქარელის რაიონის სოფელ ავლევის მიმდებარე ტერიტორიაზე, ადგილობრივი მოსახლეობის მფლობელობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები უკანონოდ აღმართეს!**

რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალების მიერ აღნიშნული ბანერების არალეგალური მონტაჟი წარმოადგენს მორიგ პროვოკაციულ ქმედებას, რომელიც მიმართულია ადგილზე ვითარების დესტაბილიზაციისკენ და საფრთხეს უქმნის მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფას.



აღნიშნული უკანონო ქმედება 28 ივნისს დაგეგმილი ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ჯგუფის შეხვედრაზე იქნება განხილული, — განაცხადა სუსის საინფორმაციო- ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა ირაკლი ბერაიამ.



## რაღა ლენინი რაზლივში და რაღა სააკაშვილი „ოდესა-რენის" გზაზე

**მიხეილ სააკაშვილი დროებით კაბინეტში — ოდესა-რენის გზაზე, კარავში განთავსდა. ოდესის გუბერნატორი აღნიშნულ ადგილას იქამდე აპირებს მუშაობას, სანამ „ოდესა-რენის" ავტომაგისტრალის მშენებლობა არ დასრულდება. მან კარავში პირველი შეხვედრები და თათბირიც უკვე გამართა. სააკაშვილი ჟურნალისტებსაც შეხვდა:**

„ქვეყანაში წესრიგი უნდა დამყარდეს. აქ სრული არეულობაა სამართავ მექანიზმში. პატარა საქართველოს პრეზიდენტი ვიყავი. ვინმე მეტყოდა, რომ გზისთვის 40 მილიონ ევროს ვერ ვიშოვიდით? საღამოს რომ ვიტყოდი, დილის 6 საათზე მშენებლობა იწყებოდა", — დააბრეხვა ოდესის გუბერნატორმა.

## ჩვენ ვაპირებთ მეტი ყურადღება დავუთმოთ ქართული ჯარის გაწვრთნას



**„სრულად ვეთანხმები თქვენს განსაზღვრებას, რომ რუსეთი აგრძელებს სხვადასხვა გზით ზეწოლას საქართველოზე. რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი — აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.** ეს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილია და ასევე რუსეთი აგრძელებს ადმინისტრაციული საზღვრის გადმოწევას სამხრეთ ოსეთის რეგიონში, საქართველოს ტერიტორიის უფრო მეტ ნაწილზე. რუსეთი სხვა მხრივაც ახდენს ზეწოლას საქართველოზე, მათ შორის სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ლიდერის მიერ სურვილის გამოცხადებით, რეფერენდუმის ჩატარებაზე რუსეთში ინტეგრირებისთვის.

2008 წელს საქართველოში რუსეთის შემოჭრის შემდეგ ჩვენი მიზანია, შევქმნათ რუსეთის მიმართ გამძლეობა და შევამციროთ დაუცველობა. კრიზისის შემდეგ ჩვენ დავხარჯეთ 480 მილიონი საქართველოს უსაფრთხოების დახმარებებზე.

ბევრი ჩვენი ტრენინგის პროგრამა ბოლო ათწლეულში ფოკუსირებული იყო ქართული ძალების მომზადებაზე საზღვარგარეთ განსათავსებლად, მათ შორის ერაყში, მოგვიანებით კი ავღანეთში. ახლა ჩვენ ვაპირებთ მეტი ყურადღება დავუთმოთ ქართული ჯარის გაწვრთნის ძალისხმევას თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისთვის," — განაცხადა აშშ-ის თავდაცვის მდივნის მოადგილემ მაიკლ კარპენტერმა.



# ჩვენ ახლა ვიმყოფებით განვითარების მნიშვნელოვან ეტაპზე

**გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბატონ ბიძინა ივანიშვილის მიერ 2016 წლის 30 მაისს გამოქვეყნებულმა ღია წერილმა საქართველოს მოსახლეობის ფართო ინტერესი გამოიწვია და საყოველთაო განხილვის საგანი გახდა. საზოგადოების წარმომადგენლები სხვადასხვაგვარად აფასებენ მის შეხედულებებს. ამდენად, ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო იქნება იმ ადამიანების აზრი, რომელთაც თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე თვალსაჩინო ადგილი უკავიათ ჩვენი საზოგადოების ყოველდღიურ ყოფაში და, შესაბამისად, თავადაც აქვთ ყოველდღიური შეხება ყველაზე საჭირბოროტო საკითხთან.**

**ამ თემაზე სასაუბროდ აკადემიკოს ფრიდონ თოდუას მივმართეთ. ბატონი ფრიდონი არაერთხელ ყოფილა ჩვენი გაზეთის სტუმარი და მისი მოსაზრებები ყოველთვის გამოირჩეოდა ამა თუ იმ სიტუაციის რაციონალური შეფასებით.**

**— ბატონო ფრიდონ, უნდა ვაღიაროთ, რომ სრულიად განსხვავებული მოსაზრებები შეიძლება წაიკითხოთ დღევანდელ პრესაში თუ ინტერნეტსივრცეში ბატონი ბიძინა ივანიშვილის წერილის შესახებ. თქვენ თუ წაიკითხეთ ეს წერილი და რა შთაბეჭდილებები შეგიძლიათ გაგვიზიაროთ?**

— რა თქმა უნდა, წავიკითხე... წავიკითხე, უწინარესად, იმიტომ, რომ მართლაც დიდი იყო ინტერესი და რეზონანსი საზოგადოების მხრიდან და მეორეც, მიუხედავად იმისა, რომ ბატონი ბიძინა გადადგა თანამდებობიდან საკუთარი სურვილით, ის დღესაც ითვლება საკმაოდ გავლენიან პიროვნებად, რამეთუ მის სახელთან ასოცირდება „ქართული ოცნება“, როგორც მმართველი გუნდი. არ არის საჭირო პოლიტიკოსობა, რომ ამას მიხვდე და ანგარიში გაუწიო.

თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინაც კი, როდესაც პარლამენტის დეპუტატი გახლდით, არ ვთვლიდი, რომ აქტიური პოლიტიკოსი ვარ. დეპუტატობა ჩემთვის, უწინარეს ყოვლისა, იყო იმ ხალხზე ზრუნვის საშუალება, ვინც ნდობა გამომიცხადა და თავის წარმომადგენლად მაღიარა. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ არ ვარ პოლიტიკოსი, მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე უარი არასოდეს მითქვამს და, ცხადია, ჩემი აზრიც აქტიურად გამომითქვამს. მე ექიმი ვარ და ჰიპოკრატეს უმთავრესი პრინციპი „არავნო!“ ჩემი ცხოვრების ძირითადი კანონი იყო. აქედან გამომდინარე, არ მიყვარს ღრმა პოლიტიკური წიაღსვლები და დებატებში მონაწილეობა, მაგრამ რაც ფაქტია, იმის უარყოფაც არ შემიძლია.

ჩვენ, ქართველებს გვჩვევია: ზოგადად ყველაფერი უცებ გვინდა მივიღოთ — მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგი... ეს ძალიან კარგია, მაგრამ, სამწუხაროდ, ცხოვრებაში ასე არ ხდება. ნაჩქარევი გადაწყვეტილებები შესაძლებლობების ზღვარზე ბალანსირება, კარგს არაფერს მოგვიტანს.

**ამიტომაც არ შემიძლია, არ დავეთანხმო ბატონი ბიძინას მოსაზრებას, რომ საქართველოს ეკონომიკის განვითარებას და ეკონომიკის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებას დრო სჭირდება. როგორც იტყვიან, ასი პროცენტით ვეთანხმები, რომ: „ეკონომიკური გათვლების გარდა, ამის იმედს მაძლევს ჩვენი ხალხის ნიჭიერება, შრომისმოყვარეობა, სწრაფვა სიახლის შეცნობისკენ და, რასაკვირველია, ჩვენი ახალგაზრდების გონიერება, დიდი შემართება, თვითორგანიზების უნარი და საკუთარი ქვეყნის სიყვარული...“**

წარმატების მისაღწევად საჭიროა ბრძოლა... საერთოდ ნებისმიერ საქმეში წარმატებას სჭირდება მებრძოლი სული და ჟინი. იმისათვის, რომ დამკვიდრდე და შენი ადგილი იპოვო ცხოვრებაში, საჭიროა სწავლა, შრომა. თავისთავად არაფერი კეთდება, ჭეშმარიტებისათვის ბრძოლაა საჭირო. ეს ასე იყო ყოველთვის და მით უმეტეს ასეა ახლა, როდესაც პრინციპულად განსხვავებულ საზოგადოებაში გვიწევს ცხოვრება... ახლა მენტალიტეტიც უნდა იყოს სრულიად სხვაგვარი... ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა პრინციპულობა, საკუთარი სიმართლის გატანის უნარი, ბრძოლის ჟინი. მე არ ვგულისხმობ დარვინისეულ ბრძოლას გადარჩენისთვის და ჯუნგლის კანონებს, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ თუ ადამიანში არ არის მებრძოლი სული, მისთვის შეუძლებელია მიზნის მიღწევა.

სხვათა შორის, როდესაც მოსკოვიდან სამუშაოდ თბილისში დავბრუნდი, საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში, ჩემთან ერთად კიდევ ბევრი ჩამოვიდა, მაგრამ ყველა როდი დარჩა ბოლომდე!

**შეუძლებელია არ გაიზიარო დებულებები ქვეყნის საგარეო კურსის და გეოპოლიტიკური პროცესების გარშემო, ეს არის ყველა საღად მოაზროვნე ადამიანის აზრი. ჩემს შეხედულებასაც გამოვთქვამ, თუ ბატონი ბიძინას სიტყვებს გავიმეორებ: „საქართველოს საგარეო კურსი და ორიენტირი ერთმნიშვნელოვნად არის ევროატლანტიკური მიმართულება! ჩვენ მოთმინებით დაველოდებით ხელსაყრელ დროს, მზად ვიქნებით და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში შევალთ მაშინვე, როგორც კი ჩვენი მეგობრები და პარტნიორები კარის გაღებას შეძლებენ.**

**დასავლური კურსი არ ნიშნავს, რომ პატივისცემით არ მოვექცევით მეზობლებს და არ გავითვალისწინებთ მათ ინტერესებს, პირიქით, ჩვენი სტრატეგია გულისხმობს მეგობრული ურთიერთობების დამყარებას ყველა მეზობელ და არამეზობელ ქვეყანასთან.**

**ყველაფერს გავაკეთებთ, რათა საქართველოს ინტერესების შეულახავად შევძლოთ ურთიერთობის ნორმალიზება რუსეთთან, გავაღრმავებთ კავშირებს მნიშვნელოვან პარტნიორებთან და მეგობრებთან“.**

ამის ნათელი მაგალითია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, უვიზო მიმოსვლის რეჟიმის რატიფიცირება.

ჩემთვის, როგორც ექიმისთვის, განსაკუთრებით ახლო და მნიშვნელოვანია ის რეფორმები, რომლებიც გატარდა ჯანდაცვის სფეროში. საყოველთაო დაზღვევამ უამრავ ადამიანს მისცა საშუალება, ჩაეტარებინა მკურნალობა, რომლის შესაძლებლობაც ადრე არ ჰქონდა და ზოგჯერ იძულებული იყო, სახლ-კარი გაეყიდა ამისთვის. უდიდესი მიღწევაა C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა. რად ღირს, რომ ონკოლოგიურ პაციენტებს უფასოდ უტარდებათ უძვირესი ქიმიო და სხივური თერაპია, აუცილებელი ქირურგიული ოპერაციები... ზოგადად ჯანდაცვის რეფორმები ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და ქმედით პროექტად მიმაჩნია.

**ამის გარდა არ შემიძლია, არ აღვნიშნო ბატონი ბიძინას დამსახურება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენარჩუნებაში იმ სახით, როგორითაც ის დღეს არსებობს — ჩემი აზრით, ეს გახლდათ ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმე - მეცნიერება, განათლება, ჯანმრთელობა, ამაზე დიდი საზრუნავი, წარმოუდგენელია ქვეყნის მომავლისთვის.**

**გული მწყდება, ჩვენი თანამემამულენი საზღვარგარეთ რომ მიდიან და იქ აღწევენ მნიშვნელოვან წარმატებებს. ჩვენთან საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო ისეთი დამოკიდებულება მეცნიერთა მიმართ, რამაც დაუკარგა ახალგაზრდებს ამ სფეროში მოღვაწეობის ხალისი. ამან გამოიწვია ინტელექტუალური კადრების გადინება საზღვარგარეთ. ნებისმიერი ქვეყანა სიხარულით ღებულობს ჩვენს განათლებულ და ერუდირებულ სპეციალისტებს სხვადასხვა დარგში.**

ყოველი ცივილიზებული სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა ფუნდამენტური მეცნიერების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის ზრუნვა. მიმაჩნია, რომ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სირთულეების ფონზე მეცნიერება ერთ-ერთი ყველაზე უმწეო სფერო ხდება, რომელსაც აუცილებლად სჭირდება, ისევე როგორც განათლებასა და სამედიცინო დახმარებას, სახელმწიფოს მხარდაჭერა, თუ, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს სურს, ჰქონდეს მომავალი და, მით უმეტეს, მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოების ერთიან ოჯახში გაწევრების პერსპექტივა.

**— სულ ახლახან, საქართველოს მთავრობისა და საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით საფუძველი ჩაეყარა ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობას ადრონული თერაპიის ცენტრთან ერთად. ამ პროექტით საქართველო შევა მსოფლიოს იმ ქვეყნების ხუთეულში, სადაც ერთ-ერთი ასეთი უმსხვილესი პროექტი განხორციელდება...**

— ადრონული თერაპია გახლავთ მეცნიერული კვლევის კიდევ ერთი მიმართულება, რომლის მიზანია, რაც შეიძლება მაქსიმალური ეფექტი მივიღოთ იმ პაციენტებში, რომელთა მკურნალობაც შეუძლებელია სტანდარტული ქირურგიული, ქიმიო და სხივური თერაპიის მეთოდებით. ის ჯერ კიდევ კვლევის საგანია და, ამდენად, პროექტს ექნება უმნიშვნელოვანესი გამოყენება არამხოლოდ სამედიცინო, არამედ უფრო მასშტაბური სამეცნიერო-კვლევითი თვალსაზრისითაც, რადგან ის ითვალისწინებს უმაღლეს სამეცნიერო-ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენას და მობილიზებას, უახლესი ტექნოლოგიური აღჭურვილობის დანერგვას. ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნული პროექტი უდიდეს სტიმულს მისცემს ახალგაზრდა თაობას მეცნიერული კვლევისა და ინოვაციური მიდგომების შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვისათვის. ეს იქნება ცოდნის ახალი კერა, რომელიც მოიზიდავს მეცნიერებს და სტუდენტებს მთელი მსოფლიოდან — აკი უნივერსიტეტის დაფუძნებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე საქართველოში სტუმრად იმყოფებოდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული ფიზიკოსები, მათ შორის 2013 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკის დარგში ფრანსუა ენგლერტი.

გული მწყდება, ჩვენი თანამემამულენი საზღვარგარეთ რომ მიდიან და იქ აღწევენ მნიშვნელოვან წარმატებებს. ჩვენთან საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო ისეთი დამოკიდებულება მეცნიერთა მიმართ, რამაც დაუკარგა ახალგაზრდებს ამ სფეროში მოღვაწეობის ხალისი. ამან გამოიწვია ინტელექტუალური კადრების გადინება საზღვარგარეთ. ნებისმიერი ქვეყანა სიხარულით ღებულობს ჩვენს განათლებულ და ერუდირებულ სპეციალისტებს სხვადასხვა დარგში.

ვფიქრობ, ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც მეტ-ნაკლები დრო გაუტარებია სამშობლოს გარეთ, განუცდია ნოსტალგიის გრძნობა და იმის განცდა, რომ ნებისმიერი წარმატება ათმაგ კმაყოფილებას განიჭებს, თუ ის საკუთარ ქვეყანაშია მიღწეული.

დღეს აღარ არის დიდი სირთულე საზღვარგარეთ გამგზავრება, ყველას მოგვწონს განვითარებული, დალაგებული, დემოკრატიული პრინციპებით მართული ქვეყნები, მაგრამ ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, მაინც მგონია, რომ ქართულ ბუნებაში დევს რაღაც მარცვალი, რომელსაც ადრე თუ გვიან ისევ სახლისკენ მოყავხარ და ეს ძალიან დიდი ბედნიერებაა. ამდენად მახარებს ყველა განხორციელებული პროექტი, ინიციატივა თუ წამოწყება, რომელიც ცხოვრების ევროპულ სტანდარტებთან გვაახლოებს. მინდა, კიდევ ერთხელ დავადასტურო ჩემი თანხმობა იმ კონცეფციასთან, რომლის თანახმადაც ქვეყნის გამთლიანების პერსპექტივა რეალური გახდება მხოლოდ და მხოლოდ მაღალ ღირებულებებზე დაფუძნებულ და ძლიერი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოში, სადაც ცხოვრება ყველასთვის ერთნაირად მიმზიდველია.

...დიახ, ჩვენ ახლა ვიმყოფებით განვითარების მნიშვნელოვან ეტაპზე, როდესაც თითოეულმა მოქალაქემ დამოუკიდებლად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე უნდა გააკეთოს არჩევანი. ეს კი ძალიან დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

**ესაუბრა**
**რუსლან რუსია**

# ქართველები დიდ ღლავს დავიჭერთ, თუ...

**ქართველები დიდ ღლავს დავიჭერთ, თუ საბოლოოდ არ ამოვძირკვავთ სააკაშვილის რეჟიმს, პოლიტიკურ სარბიელს არ დავატოვებინებთ ნაცების ფესვებზე ამოყრილ ეგრეთ წოდებულ რესპუბლიკელებს და თავისუფალ დემოკრატებს. აგრეთვე პარლამენტში მოხვედრის საშუალებას მივცემთ არასაპარლამენტო პარტიებს, გავბრიყვდებით და პოლიტიკური თამაშისთვის ნიადაგს მოვუმზადებთ ნაცებისთვის მაშველ რგოლად გადმოსროლილ პაატა ბურჭულაძეს.**

მოვლენების ვითარებამ გვიჩვენა, რომ ფსევდოპარტიებისთვის მთავარი ქართველთმოძულე სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოშორება კი არ ყოფილა, არამედ პარლამენტში მოხვედრა. ისინი უკვე გაერთიანდნენ და „ოცნების“ წინააღმდეგ იბრძვიან. ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილის წისქვილზე წყალი ღვარცოფად მიუშვა. პარლამენტში მოხვედრის მათი დაუოკებელი სურვილი იმდენად დიდია, რომ სასურველი შედეგის მიუღებლობის შემთხვევაში მასობრივი საპროტესტო გამოსვლებით იმუქრებიან, მაგალითად, ეგრეთ წოდებული „პატრიოტთა ალიანსი“ ამ მოწოდებით გამოდის. სწორედ ამას ჰქვია ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების არაფრად ჩაგდება.

„ქართულმა ოცნებამ“ შეასრულა უდიდესი ეროვნული საქმე — ანტინაციონალები (ზოგი მათ ნაციონალებად რომ მოიხსენიებს) ჩამოაშორეს ხელისუფლებას, რომლებიც ქვეყანას კატასტროფისკენ მიაქანებდნენ. „ოცნებას“ ამჟამადაც არ დაუკარგავს ფუნქცია — მან ზემოხსენებული ნარჩენების ფესვების ამოძირკვა უნდა შეძლოს; აგრეთვე გააუვნებელყოს ნაცების წამოსაშველებლად ამხედრებული სატელიტი პარტიები, რომელთაც სულ ახლახანს შემოუერთდა ზემოხსენებული ბურჭულაძე.

ზოგმა შეიძლება ასეთი აზრი მოგვაწოდოს — რაკი „ოცნებას“ ჯერჯერობით არ დაუკარგავს მასზე დაკისრებული ფუნქცია, უმჯობესი არ იქნება დანარჩენი პარტიები მის ირგვლივ გაერთიანდნენ? — არავითარ შემთხვევაში!!! თუ მოვიშველიებთ უმაღლესი მათემატიკის ერთ დებულებას, დავრწმუნდებით ჩემ მიერ გამოთქმული მოსაზრების სისწორეში. ამ პარტიებს წარმოდგენა არა აქვთ ინტეგრალურ პოლიტიკაზე, თანამედროვე დიპლომატიაზე; მათ არ ძალუძთ მოვლენების შეფასება და იქიდან სათანადო დასკვნის გამოტანა. დავუშვათ, მე, ძლიერ ვაჭარბებ და უტრირებას ვაკეთებ, მაგრამ მათი ცოდნა ცხოვრების ყველა სფეროსა და საგანში უსასრულოდ მცირეა ამ პარტიათა ერთობლიობაც კი ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს, ამიტომ ქვეყნის ინტერესები მოითხოვს, საქართველოს მოსახლეობამ გამოიჩინოს სიფხიზლე და ზემოხსენებულ ფსევდოპარტიები არ შეუშვან პარლამენტში.

ეგრეთ წოდებული ვაიექსპერტები, ძირგამომთხრელი ფსევდო არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართულნი არიან „ოცნების“ წინააღმდეგ ბრძოლაში. ყველანი, თითქოს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ქადაგებენ, ერთ ხმაში გაჰყვირიან — „ოცნებას“ არაფერი გაუკეთებია და საპარლამენტო არჩევნებში პრობლემა შეექმნებაო. მაგალითად, ადრე „ოცნების“ დაუცხრომელი პროპაგანდისტი გია ხუხაშვილი, ამჟამად კი თავგადაკლული სააკისტი (მას ჰგონია, ამ ფერიცვალებას ხალხი ვერ ამჩნევს) ამუნათებს „ოცნებას“ და ურჩევს, ფსევდოპარტიებს (მათ შორის ეგრეთ წოდებულ ნაცებსაც), თუ როგორ უნდა გაერთიანდნენ ქვეყნის დამაქცევარი სააკისტების დამმარცხებელი ადამიანების („ოცნების“) წინააღმდეგ ბრძოლაში. იმედი მაქვს, საქართველოს მოსახლეობა ყურად არ იღებს მსგავსი მერყევი ინდივიდების შეგონებას და ქვეყნის სასიკეთოდ იმოქმედებს.

„ოცნებამ“ ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში გარკვეულ წარმატებას მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ არის ზეწოლა გარედან, შიგნიდან — სააკისტები, ფსევდოპარტიები, არასამთავრობოები, ჩასაფრებულები, საერთოდ, სკამის ყველა მოყვარული მოწადინებულნი არიან მმართველი პარტიის მიღწევები მიჩქმალონ, როგორმე ხელი შეუშალონ ქვეყნის წინსვლას. ყოველივე ეს ხდება, მხოლოდ და მხოლოდ პირადული ინტერესებიდან გამომდინარე, არად დაგიდევენ სახელმწიფო ინტერესებს.

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა იმთავითვე თქვა: სააკაშვილთან მუშაობა შეუძლებელიაო. ამაზე განგაში ატეხა დასავლეთმა და თავს კოჰაბიტაცია მოგვახვია. სწორედ ამ დროს საქართველოს მთელი მოსახლეობა უნდა გამოსულიყო ქუჩაში და მხარი ივანიშვილისთვის დაეჭირა. ივანიშვილი გულივერი ხომ არ არის, რომ მთელ დასავლეთს წინააღმდეგობა გაუწიოს. მას წამოშველებაც უფრო ხშირად სჭირდება. პოლიტიკით დასაქმებული ადამიანი, „ოცნებას“ რომ დაადანაშაულებს კოჰაბიტაციაში, მას პოლიტიკაში არაფერი ესაქმება. ქართულ პროკურატურას იმაში ადანაშაულებენ, რომ თითქოს მას არ ძალუძს ისეთი დოკუმენტის შემუშავება, რომ სისხლის დამნაშავე სააკისტები საქართველოს მართლმსაჯულებას გადმოსცენ. ეს მოსაზრება არ შეესაბამება სინამდვილეს. დასავლეთი კბილებით იცავს დამნაშავე სააკისტებს. ისინი უკრაინის მთავრობაში დაასაქმეს. მათ სარევანშოდ ამზადებენ. ასეთ ვითარებაში ფხიზლად უნდა იყოს ქართველი ხალხი, რათა დასავლეთის ყურმოჭრილი მარიონეტები სააკისტების სახით საქართველოს ხელისუფლებაში არ დაბრუნდნენ.



**ფხიზლად უნდა იყოს ქართველი ხალხი, რათა დასავლეთის ყურმოჭრილი მარიონეტები სააკისტების სახით საქართველოს ხელისუფლებაში არ დაბრუნდნენ.**

ოქტომბრის არჩევნებით დასავლეთი უნდა დავარწმუნოთ, რომ სააკისტებს ქართველი ხალხი არ აირჩევს და უმჯობესი იქნება იმათთან იურთიერთონ, ვინც არჩევნებში გაიმარჯვებს.

იმასაც აღვნიშნავდი, რომ აუცილებელია რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება, მაგრამ ორიენტაციის შეცვლა დაუშვებელია.

დასავლეთი გვაშინებს, თუ დემოკრატიას არ განავითარებთ, ნატოში არ მიგიღებთო. საქართველო იმდენად მნიშვნელოვანია დასავლეთისათვის, რომ ჩვენთან პოლპოტის რეჟიმი რომც დამყარდეს, მაინც მიგვიღებენ ნატოში, მაგრამ ვითარება ისეთია — ამ ეტაპზე ნატოში მიღება შეუძლებელია. ეს რომ ასეა, ცოტაოდენი ექსკურსი მოვახდინოთ წარსულში.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ — 1919 წელს გამარჯვებული სახელმწიფოები შეიკრიბნენ პარიზის მახლობლად და შეთანხმდნენ გავლენათა სფეროების ხელახალ გადანაწილებაზე. ამ შეთანხმების მიხედვით რუსეთის გავლენის სფეროდან გამოვიდნენ ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. ამგვარ შეთანხმების შედეგს დაეთანხმა რუსეთი და ამიტომაც ხსენებულმა ქვეყნებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და 1940 წლამდე ეს ქვეყნები ამ სტატუსს ინარჩუნებდნენ. 1939წლის სექტემბერში გერმანია და საბჭოთა კავშირი თავს დაესხნენ ზემოაღნიშნულ სახელმწიფოებს და დააკარგვინეს დამოუკიდებლობა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ კვლავ მოხდა მსოფლიოს გადანაწილება გავლენათა სფეროების მიხედვით. ამას თან მოჰყვა სამხედრო ალიანსების შექმნა — ნატო და ვარშავის ხელშეკრულება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კვლავ აღდგა მსოფლიოს გადანაწილება წინანდელი ვარიანტით და უმალვე ბალტიისპირეთის ქვეყნები რუსეთის გავლენის სფეროდან გამოვიდნენ. ამ მოვლენას კრემლი შეეგუა, მაგრამ უკრაინის, ბელარუსის, ყაზახეთის, შუა აზიისა და კავკასიის ქვეყნების გასვლას მისი გავლენის სფეროდან ზედმეტად მტკივნეულად განიცდის.

ლოგიკის თანახმად ვარშავის ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ ნატოც უნდა გაუქმებულიყო, მაგრამ პირიქით მოხდა — ნატომ რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნები თავის რიგებში მიიღო, მაგრამ რუსეთი ყოველ ღონეს მიმართავს, რათა ის ქვეყნები მაინც არ გაერთიანდნენ ნატოში, რომლებსაც იგი თავის გავლენის სფეროდ მიიჩნევს.

მართალია, ნატოს გაუქმება ლოგიკიდან გამომდინარეობს, მაგრამ რუსეთის მიერ ჩაგრულ სახელმწიფოებს ნატოს არსებობა ხელს აძლევს, რათა რუსეთის აგრესია დაითრგუნოს. აქედან გამომდინარე, ნატოში არ მიგვიღებენ, მაგრამ აშშ და დასავლეთი გვეხმარება ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, ყოველივე ეს ხდება ნატოში მიუღებლობის საკომპენსაციოდ. კარგი იქნებოდა, თუ საქართველო ისე მოიქცეოდა. როგორც აზერბაიჯანი, მაგრამ... ამჟამად ძლიერ შეტოპილი გვაქვს და ნეიტრალიტეტის დაცვა გაგვიჭირდება.

ბუნებრივია, ხელისუფლება ოფიციალურად ვერ განაცხადებს, რომ ნატოში ამ ეტაპზე არ მიგვიღებენ. არც იმას იტყვის, რომ დასავლეთს სურს, სააკაშვილი დაუბრუნდეს ხელისუფლებას. ამით გაინაწყენებს პარტნიორებს და თითქოს თავის თავს იდანაშაულებს კოჰაბიტაციასა და იმაშიც, რომ ვერ შეძლო სისხლის დამნაშავე სააკისტების ჩამოყვანა საქართველოში. ყველაფერი ეს უნდა თქვან ხელისუფლების გარეშე მყოფმა ადამიანებმა, რომელთაც ძალუძთ მოვლენების სწორად აღქმა და ანალიზი. სამწუხაროდ, ამ ამოცანის გადაწყვეტის უნარის მქონე ადამიანები ჯერჯერობით საქართველოში არ ჩანან. ექსპერტები იმასვე იმეორებენ, რასაც მასა აღიქვამს და უნარი არა აქვთ ანალიზისა.

ხელისუფლება თავს ისე იჭერს, რომ თითქოს მას სჯერა დასავლეთის დაპირებები ნატოსთან მიმართებაში, ხოლო დასავლეთს ჰგონია საქართველოს ხელისუფლება ტყუვდება ამ მოვლენასთან დაკავშირებით. ამ თამაშით ორივე მხარე იგებს: საქართველო დასავლეთიდან სერიოზულ დახმარებას იღებს, ხოლო დასავლეთს საქართველოს ტერიტორია რაიმე ამოცანის შესასრულებლად დაბევებული აქვს.

...ყველა პარტიის პროგრამა დადის პრიმიტიულ კონცეფციებზე — ჩვენ გვსურს კარგი ეკონომიკა, კარგი პოლიტიკა, ცხოვრების მაღალი დონე და ასე შემდეგ, ხოლო როგორ მიიღწევა ეს „კარგი“ არავინ ამბობს, არავის წარმოდგენა არა აქვს პოლიტიკურ მიმდინარეობათა და თეორიათა შესახებ.

ყველას მხოლოდ სკამები ელანდება. ამიტომ ამ მოლანდებებს ბოლოს და ბოლოს წერტილი უნდა დაუსვას ოქტომბრის არჩევნებმა.

ეგრეთ წოდებული პოლიტიკური პარტიები შინ უნდა დაბრუნდნენ და სწორი აზრის გასატარებლად პოლიტიკურ სარბიელზე ინტელექტუალები გამოვიდნენ, რომელთა თაოსნობით შემუშავდება ზემოხსენებული, რეალობის შესატყვისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაცია.

თუ ამ სტატიაში განვითარებული მოსაზრებანი საქართველოს მოსახლეობამ არ გაითვალისწინა და ფსევდოპარტიების ცრუდაპირებები რეალობად მიიჩნია, უსასრულო ობიექტური ფაქტორების წინააღმდეგ წავიდა (რისი ნიშნები უკვე არსებობს), მივიღებთ საერთო არეულობას, სისხლის ღვრას, რაც ქვეყნის კატასტროფას კიდევ ერთხელ გამოიწვევს.

**ონისე მჭარიაშვილი**

## ავიღებ შვებულებას და ასე ვიქნები ჩართული წინასაარჩევნო კამპანიაში



**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში შვებულებას აიღებს. ამის შესახებ სერგეენკომ ჟურნალისტებს საკითხის კომენტირებისას განუცხადა.**

**„ჯერჯერობით ვაგრძელებ ჩემს სამუშაოს, როგორც ჯანდაცვის მინისტრი. ალბათ გარკვეული დოზით ამ პოზიციიდან მომიწევს ჩართვა. დადგენილი წესის მიხედვით, იმ პერიოდში როდესაც მე ჩართული ვიქნები საარჩევნო კამპანიაში, საარჩევნო კანონდებლობის შესაბამისად, ალბათ, ავიღებ შვებულებას და ასე ვიქნები ჩართული“, — განაცხადა დავით სერგეენკომ.**

## „წინასაარჩევნო კამპანიაში კანონმდებლობის ფარგლებში ჩავერთვები“



**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაერთვება. დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, ის გუნდის საკმაოდ აქტიური წევრია და შესაბამისად წინასაარჩევნო კამპანიაში კანონმდებლობის ფარგლებში ჩაერთვება. „კანონმდებლობის ფარგლებში ჩავერთვები. კანონმდებლობა არის მთავარი, რაც ჩვენს ქვეყანას გააჩნია. როგორც გუნდის წევრი, ვიქნები ძალიან აქტიური. არ ვიყენებთ არანაიარ ადმინისტრაციულ რესურსს. ეს არის ძალიან მარტივი, საქართველოში არის შემუშავებული არაერთი მექანიზმი, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ აღნიშნული იყოს გადამოწმებული. აქედან გამომდინარე, ტყუილ ბრალდებებს არ მივიღებ და ვერ მივიღებთ. თუ ვინმეს კონკრეტული ფაქტი ექნება, ამაზე რეაგირება გვექნება“, — განაცხადა ქუმსიშვილმა.**

რა ჯდება საქართველოში სასკოლო ბანკეტი?

# რესტორანი, ლიმუზინი, საჩუქრები...




**„მე რომ სკოლის მასწავლებელი ვიყო, არ წავიდოდი მე-12 კლასელების ბანკეტზე,“ — სოციალურ ქსელში ჟურნალისტ მეგი კავთუაშვილის მიერ ამ სათაურით გამოქვეყნებულმა სტატუსმა აქტიური დისკუსია გამოიწვია.**

**„...შემრცხვებოდა მოსწავლეების და მათი მშობლების. რაც ჩემგან სკოლის კედლებში უნდა მიეღოთ, რეპეტიტორებისგან რომ ისწავლეს, რაშიც სახელმწიფომ მე ხელფასი გადამიხადა, იმავე ცოდნის ყიდვა მშობლებს რომ სხვაგან მოუხდათ. რა დროშიც მე უნდა მესწავლებინა, ის პერიოდი უშედეგოდ დასრულდა და დამატებითი დროის დახარჯვა მოუხდათ ბავშვებს.**

**ვერ წავიდოდი ბანკეტზე და ჩემ „ქეიფ-დროს ტარებაში“ კიდევ დამატებით ვერ დავახარჯინებდი ნასესხებ ან სიმწრით ნაშოვნ ფულს მოსწავლეთა მშობლებს.**

**გულშემოყრილი დამხვდა ჩემი სტილისტი. გამოვკითხე, რა გჭირს, ხომ მშვიდობა გაქვს-მეთქი. ჩაეცინა, ჩემი ბიჭი სკოლას ამთავრებს და საბანკეტოდ 400-400 ლარს აგროვებენო. დამრიგებელს უთქვამს, ყველა მასწავლებელი უნდა დავპატიჟოთ და ლიმუზინები ვიქირაოთო. თან შარვალ-კოსტიუმიც საყიდელი გვაქვს და ვის ვესესხო ფული, იმას ვფიქრობო. გლდანში ხდება ეს.**

**რა ბანკეტი, რა მასწავლებელი, რა ლიმუზინი, რა შარვალ-კოსტიუმი... თუ დედამიწაზე არ ვარ, „შემომილაწუნეთ“!“ — წერს კავთუაშვილი.**

**სკოლის გამოსაშვები ბანკეტი უცხოეთის ქვეყნებშიც გავრცელებული ტრადიციაა. თუმცა პრობლემა, რაზეც პოსტის ავტორი ამახვილებს ყურადღებას, იმ კონტრასტს ეხება, რომელიც, ერთი მხრივ, საქართველოს განათლების სისტემასა და სოციალურ ფონს, მეორე მხრივ კი მოსახლეობის შემოსავლებს შორისაა.**

**„კომერსანტი“ შეეცადა გაერკვია, საშუალოდ რა ჯდება საქართველოში სასკოლო ბანკეტი ერთ ადამიანზე და რა ხარჯები შედის ამ თანხაში.**

**ამ მიზნით რამდენიმე რესპონდენტი გამოვკითხეთ, რომლებმაც სკოლა წელს დაამთავრეს.**

**ნაძალადევის საჯარო სკოლის ერთ-ერთი კურსდამთავრებული, აბიტურიენტი:**

„სკოლა წელს დავამთავრე. ბანკეტზე წასვლა დაახლოებით 700-800 ლარი დამიჯდა. 200 ლარი რესტორნის მენიუ და მისი ორგანიზება დაჯდა. ამაში შედის როგორც უშუალოდ მენიუ, ისე ქალაქგარეთ გასვლა და ფოტო და ვიდეოგადაღება. შემდეგ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, წვრილ-წვრილი დეტალები, რომელიც საღამოზე დასასწრებად არის აუცილებელი. ამას ემატება მასწავლებლის საჩუქარი, ყველაფერი ჯამში ძალიან დიდ თანხამდე ავიდა. ჩემი აზრით, ჯობდა ეს ფული შემენახა, ცოტა დამემატებინა და დასასვენებლად წავსულიყავით კლასელები საზღვარგარეთ. ბევრად კარგად გავერთობოდით. სისულელეა ბანკეტებში ამდენი ფულის ყრა, არადა, რომ არ წახვიდე, სხვა თვალით შემოგხედავენ“.

**საბურთალოს ერთ-ერთი საჯარო სკოლის ყოფილი მოსწავლე, ამჟამად მეორე კურსის სტუდენტი:**

„სკოლა რამდენიმე წლის წინათ დავამთავრე. ჩემი გამოცდილებით ვიცი, რომ სკოლის დამამთავრებელი ბანკეტი საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. მახსოვს, რომ ჩვენ 250 ლარი გადავიხადეთ, მაგრამ ამ თანხაში ცხადია ტანსაცმელი და მომზადება არ შედიოდა. ხვდებით ალბათ — საერთო თანხა ძალიან მაღალი იყო. სამწუხაროდ, ჩვენს რამდენიმე კლასელს არ ჰქონდა შესაძლებლობა, ეს თანხა გადაეხადა (ვგულისხმობ მხოლოდ 250 ლარს). ამ მომენტში თავს იჩენს სირცხვილი, ბრაზი, უთანასწორობის განცდა. ისიც მახსოვს, ერთ-ერთი კლასელი ამბობდა, „რა გაგიხდათ ეს 250 ლარიო.“ საბოლოოდ ბანკეტის სამზადისი სერიოზულ დაპირისპირებად იქცა.

საერთო ჯამში მსგავსი გამონათქვამების ავტორები გავაჩუმეთ და შევთანხმდით, რომ ვისაც პრობლემები ჰქონდა, ნაკლებ თანხას დადებდა. თითქოს ეს ტოლერანტული მიდგომაა, მაგრამ არის რაღაც დამამცირებელი მასში, განსაკუთრებით თინეიჯერობის ასაკში. ჩემი მეგობრებისგან წელსაც არაერთი მსგავსი შემთხვევა გამიგია“.

არცთუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც სკოლის გამოსაშვებ ღონისძიებაში ლიმუზინი მონაწილეობს, რომელსაც, ცხადია, ასევე მოსწავლეების მშობლების ხარჯით ქირაობენ.

რესტორნებისთვის სასკოლო ბანკეტი კვლავ შემოსავლიან ბიზნესად რჩება. თუმცა „კომერსანტის“ მიერ გამოკითხულმა არცერთმა რესტორანმა არ დაასახელა ფასი, რაც სკოლის ბანკეტი ჯდება. „თბილისის ზღვის კლუბში“ ამბობენ, რომ წელს ბანკეტებზე მომართვიანობა გასულ წელთან შედარებით გაზრდილია. რაც შეეხება იმას, თუ რა ჯდება საშუალოდ ერთი კაცი მომსახურება, ამაზე ამბობენ, რომ ეს კონფიდენციალურია და მოლაპარაკების საგანს წარმოადგენს.

ფასებზე არ საუბრობენ არც რესტორან „გუჯარში“ და არც „ბაბილო სანაპიროზე“. ორივე რესტორანში აცხადებენ, რომ აღნიშნული საკითხი მოლაპარაკების თემაა და ვერც საშუალო ფასს დაასახელებენ. თუმცა, მათივე მტკიცებით, ბანკეტებზე მოთხოვნის დინამიკა არ შეცვლილა და ის ისეთივე პოპულარული და მოთხოვნადია, როგორც გასულ წელს.

**Myrest.ge ინფორმაციით, თბილისის ზღვის კლუბში არსებული რესტორნის ერთი დღით დაქირავება 6 600 ლარი ჯდება. იქ სასკოლო ბანკეტი ერთ ადამიანზე 250 ლარი ჯდებოდა.**

**რესტორან „ბერმუხაში“ 50-კაციანი ბანკეტის გადახდა საშუალოდ 5700 დან 8360 ლარამდე ღირს (1 ადამიანი 114-167 ლარი). ბერმუხას ეს შეთავაზება ტორტს (სკოლის წარწერით), ფოიერვერკს, წითელ ხალიჩას, ბანერს (სკოლის წარწერით), მუსიკოსებს, დიჯეის და 60-ლარიან მენიუს მოიცავს.**

**მცხეთაში მდებარე „გუჯარში“ ეს თანხა 6400 ლარია (1 ადამიანზე 128 ლარი). თუმცა ამ ფასში მუსიკა, ტორტი, ფოიერვერკი, წამყვანი და სხვა მომსახურებები არ შედის.**

„კომერსანტი“ ივენთ კომპანია **„შოუ თაიმსაც“** დაუკავშირდა, რომელიც მსგავსი ღონისძიების დაგეგმვისას ყველა საორგანიზაციო საკითხის მოგვარებას საკუთარ თავზე იღებს. **კომპანიის მონაცემებით, წელს ერთ ადამიანს სასკოლო ბანკეტი დაგეგმვით, მენიუთი და სხვადასხვა სერვისით საშუალოდ 200 ლარი უჯდება. კომპანიის ივენთ-მენეჯერი ანა ჩიბურდანიძე ამბობს, რომ მათთან დიდი მოთხოვნაა წამყვანებზე, რომლის ფუნქციაშიც შედის ბანკეტის წაყვანა, კონკურსების ჩატარება, ფლეშ-მობის ორგანიზება და მსგავსი ტიპის გასართობი ღონისძიებების მოწყობა. წამყვანის დაქირავება კი 1000 ლარი ღირს.**

**„თუ ვისაუბრებთ განსხვავებულ ბანკეტზე, რომელიც ქალაქგარეთ, ღია ცის ქვეშ ტარდება, დამატებითი მომსახურებით, საშუალოდ ერთ ბავშვს მთლიანი ორგანიზების შემთხვევაში მენიუს ჩათვლით 200 ლარამდე უჯდება**. ასეთ ბანკეტებზე მოთხოვა არცთუ ხშირია, რადგან ამ შემთხვევაში უფრო მშობლები იღებენ გადაწყვეტილებას. აქედან გამომდინარე, ისინი რესტორნებით შემოიფარგლებიან ხოლმე და ასეთ სიახლეებს ერიდებიან, რადგან ეს მათთვის დამატებითი ხარჯია“, — აცხადებს ჩიბურდანიძე.

**ფოტოსა და ვიდეოს ქირაობა მინიმუმ 700 ლარი, მაქსიმუმ კი 1500 დოლარი ჯდება.**

მოყვანილი თანხებიდან და სერვისების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, რთულია სასკოლო ბანკეტის საშუალო ხარჯის დაანგარიშება ერთ ადამიანზე. თუმცა ფაქტია, რომ **თბილისში, საშუალო დონის ღონისძიების მოწყობა მინიმუმ 400 ლარი ჯდება. ამ ხარჯში, როგორც წესი, შედის მასწავლებლების დაპატიჟება და ზოგ შემთხვევაში მათთვის სოლიდური საჩუქრების გაკეთება.**

შესაბამისად, ქართული რეალობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შვილის გამოსაშვები საღამო ოჯახებისთვის საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

ბრალდებებს არ აღიარებენ

# საგამოძიებო სამსახური საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიებს დაერია...

**„აიფონ პლიუსში“ და „ეფლსიტიში“ საგამოძიებო სამსახურის შესვლის შემდეგ სოციალურ მედიაში ტექნიკის ბაზარზე არსებული ვითარების თემა გააქტიურდა. მომხმარებლებს საკუთარი გამოცდილებიდან მოჰყავთ ფაქტები, თუ როგორ „შეასაღეს“ ტექნიკის მაღაზიებმა მეორადი პროდუქცია. რამდენიმე მომხმარებელი ტექნიკის მაღაზიების წარმომადგენლებზე დაყრდნობით წერს, რომ ცნობილ ქსელებსაც კი ხშირად მეორადი ან ქარხნებში წუნდებული პროდუქცია შეაქვთ და ყიდიან როგორც ახალს. ყვებიან შემთხვევებს, როდესაც მომხმარებლის მიერ რაიმე წუნის გამო დაბრუნებული ტექნიკა მაღაზიაში ხელახლა შეფუთეს და თაროზე როგორც ახალი, ისე გამოიტანეს გასაყიდად.**



„კომერსანტი“ რამდენიმე მსხვილ კომპანიას დაუკავშირდა, რომლებიც ბაზრის წამყვანი მოთამაშეები არიან და რომელთა პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებით პერიოდულად შეკითხვები ისმის.

„ელიტ ელექტრონიქსში“ მსგავს ინფორმაციას საკუთარ თავზე არ იღებენ და აცხადებენ, რომ კომპანიის ბრენდ მაღაზიებში არსად არ იყიდება მსგავსი ტიპის პროდუქცია. ამისთვის, მათი თქმით, არსებობს „აუთლეტ მაღაზიები“ (თბილისში 2 და ერთი ბათუმში) სადაც მეორადი, ჩამოფასებული ან შეკეთებული ტექნიკა იყიდება.

მათი ინფორმაციით, ამ კონკრეტულ მაღაზიაში არავინ არ მალავს ინფორმაციას ტექნიკის მდგომარეობის შესახებ. კერძოდ, მათი განცხადებით, იქ პროდუქციას მოყვება „ელიტ ელექტრონიქსის“ მიერ გაცემული ოფიციალური საბუთი, თუ რა ტიპის დაზიანება აქვს აღნიშნულ პროდუქტს, ოფიციალური სერვისის დასკვნა, თუ რა ნაწილი შეეცვალა, ან შეკეთდა, ან თუ არის ტექნიკური დაზიანება. კომპანიაში ამბობენ, რომ აღნიშნულ ინფორმაცის მომხმარებელი „აუთლეტ მაღაზიაში“ იღებს.

„ელიტ ელექტრონიქსის“ მსგავსად მის ქსელში მეორადი ან დაზიანებული ტექნიკის რეალიზაციას კატეგორიულად გამორიცხავს „ტექნო ბუმის“ დამფუძნებელი ანზორ ქოქოლაძე. მისი თქმით, მის კომპანიაში წარმოდგენილი ტექნიკა სრულიად ახალია. რაც შეეხება წუნდებულ პროდუქციას, მისი თქმით, კომპანიას აქვს „აუთლეტ მაღაზია“, სადაც მსგავსი ტიპის პროდუქცია იყიდება.

იმის გასარკვევად, კომპანიების განცხადების გარდა, შეუძლია თუ არა მომხმარებელს გადაამოწმოს რამდენად ახალია მის მიერ შეძენილი პროდუქცია და აქვს თუ არა ბერკეტი, გადაამოწმოს, რამდენად ხარისხიან პროდუქციაში იხდის თანხას, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს დავუკავშირდით, რომელმაც, როგორც თავად აცხადებს, ორი კომპანიის მიერ მეორადი „აიფონების“ ახლის სახით გასაღების ფაქტები გამოავლინა.

საგამოძიებო სამსახურში აცხადებენ, რომ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მიზეზით შევიდა „აიფონ პლიუსში“ და „ეფლსიტიში“ უწყება, კონფიდენციალურია, თუმცა განმარტავენ, რომ ნებისმიერ ფიზიკურ პირს, თუ მას ეჭვი გაუჩნდება, რომ ვინმემ მოატყუა, შეუძლია, განცხადებით მიმართოს საგამოძიებო ორგანოს, რომლის შემდეგაც უწყების მხრიდან რეაგირება ძალიან მოკლე დროში მოხდება.

შეგახსენებთ, გუშინ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური შპს „აიფონ პლიუსში“ და შპს „ეფლსიტიში“ შევიდა. როგორც საგამოძიებო სამსახურის განცხადებაშია ნათქვამი, საგამოძიებო სამსახურში მიმდინარეობს გამოძიება შპს „აიფონ პლუსის“ და შპს „ეფლსიტის“ მიმართ და გამოძიების ფარგლებში განხორციელდა რიგი საგამოძიებო მოქმედებები.

კომპანიები ბრალდებებს არ აღიარებენ.

**სოფო ქსოვრელი**

როინ მეტრეველი



# შვიდ საუკუნოდ განწესებული

„რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორია“

## რუსთაველის ეპოქის კულტურა

XI-XII სს. ერთიანი და ეკონომიკურად ძლიერი ფეოდალური საქართველოს წინსვლა მის განათლება-კულტურაშიც გამოიხატა. საქართველოში მოხდა ქრისტიანული (ბიზანტიური) და მუსლიმური კულტურების შეხვედრა-შერწყმა.

XI-XII საუკუნეები საერო ლიტერატურის განვითარებითა და აგრეთვე ქართული მხატვრობის, ჭედური ხელოვნებისა და არქიტექტურის აღმავლობით აღინიშნა. ქართული საერო ლიტერატურის განვითარება ქართული ფეოდალური ერის კონსოლიდაციის უდავო მოწმობა იყო. აღნიშნული პერიოდის ქართული ხელოვნების (მხატვრობა, ჭედურობა, ხუროთმოძღვრული ძეგლები) დონე ქართველთა მყარი ერთობის თვალნათელი მაჩვენებელია.

### განათლება

**ქვეყნის მაღალ კულტურას განსაზღვრავდა სწავლა-აღზრდის საქმე, რაც იმდროინდელ საქართველოში ფრიად დაწინაურებული იყო.** სკოლები ძირითადად ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა. სწავლა-აღზრდის სისტემას, ფაქტობრივად, ქრისტიანული იდეოლოგია განსაზღვრავდა. თუნდაც ის ფაქტი, რომ მეოთხე საუკუნეში ფოთის მახლობლად არსებობდა კოლხეთის რიტორიკული სკოლა, სადაც ქართველ ახალგაზრდებთან ერთად უცხოელებიც იღებდნენ განათლებას და სადაც სწავლება, რო-



გიორგი მთაწმინდელი

გორც ვარაუდობენ, ქართულ და ბერძნულ ენებზე მიმდინარეობდა, ჩვენში სწავლა-განათლების ძველი ტრადიციების აშკარა დასტურია. ალბათ ეს სკოლა ერთადერთი არ იყო საქართველოში. საქართველოში რიტორიკული სკოლების გვერდით სხვადასხვა ქალაქებში უსათუოდ იქნებოდა დაწყებითი საფეხურის სკოლებიც. არ არის შემთხვევითი, რომ მაგალითად ოპიზის, ოშკის, შატბერდის, ბერთას, ხანძთის და სხვ. მონასტრებთან ხშირად გვხვდება შენობები, რომლებიც აქვე არსებული სკოლებისათვის (სემინარიებისათვის) იყო განკუთვნილი.

XI-XII საუკუნეების საქართველოში ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლები ოფიციალური სახისა იყო, სადაც ასწავლიდნენ თეოლოგიას, ჰიმნოგრაფიას, ლიტურგიკას, ისტორიას და ქართულ მწიგნობრობას. ამასთან ერთად გავრცელებული იყო კერძო (საშინაო) სწავლება სამეფო კარისა და დიდგვაროვან ფეოდალთა ოჯახების შვილებისათვის.

დიდი ტაძრები არა მარტო საკულტო-სამონასტრო დანიშნულებისა იყო, არამედ სასწავლო-სასკოლო ცენტრებსაც წარმოადგენდნენ.

XI-XII სს. საქართველოში სასკოლო განათლების დაწინაურების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბიზანტიური განათლების სისტემის ახლო გაცნობამ. ბევრმა ქართველმა მიიღო განათლება ბიზანტიის სკოლებში, ზოგი მათგანი კი შემდგომ დიდ მოღვაწედ მოგვევლინა (მაგ., ეფრემ მცირე). **გიორგი მთაწმინდელმა** 80 ქართველი ყმაწვილი წაიყვანა ბიზანტიაში განათლების მისაღებად და ივერთა მონასტერში სამსახურისათვის.

ფრიად განსწავლული მეფე დავით IV აღმაშენებელი რეალურად ფიქრობდა ერის განათლებაზე. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია სომეხ მემატიანეს ვარდან ბარძმერდეცს, რომელიც აღნიშნავს, რომ დავითი „ძლიერ ზრუნავდა ცოდნისმოყვარე ივერიის ხალხზე“. ცოდნის მიღების მიზნით საქართველოს მეფეს ორმოცი ბავშვი აურჩევია და საბერძნეთში გაუგზავნია, „რათა ესწავლათ ენები, შეესრულებინათ თარგმანები და ჩამოეტანათ, რაც მათ გააკეთეს კიდევაც. სამი ამათგანი შემდეგში ცნობილი გახდა თავისი მოღვაწეობით“.

დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოში, როგორც ჩანს, არაერთი სკოლა და აკადემია იყო, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი გელათს უკავია. დავით აღმაშენებელმა 1106 წელს დააფუძნა ტაძარი, რომელიც იყო „აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა“, განთქმული თავისი **(სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმართლითა, და მოქმნულობისა შეუსწორებლობითა)**. ეს იყო გელათი, სადაც დაფუძნებული იქნა ქართული განათლებისა და კულტურის მნიშვნელოვანი კერა – გელათის აკადემია. დავით აღმაშენებლის მემატიანე გელათს უწოდებს **„ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად...“**. როგორც ჩანს, გელათი საერო-ფილოსოფიური და სასულიერო განათლების მნიშვნელოვანი კერა გახდა.

გელათის აკადემია დაარსებულა 1106-1110 წლებში, ე.ი. ტაძრის მშენებლობის გასრულებამდე. გელათის ტაძრის მთელი კომპლექსი დემეტრე პირველის დროს დასრულდა.

გელათის აკადემია განვითარებული ფეოდალიზმის ხანის პირველი აკადემიაა; იგი რეალური მოთხოვნილების ნიადაგზე შეიქმნა და უწინარა იმ იდეოლოგიურ მოძრაობას, რომელიც გზას უკაფავდა ქართულ რენესანსს.

XII საუკუნის ათიან წლებში მოსულა



არსენ იყალთოელი

გელათის აკადემიაში სამოღვაწეოდ **იოანე პეტრიწი.** იგი დავით აღმაშენებელს მოუწვევია. იოანე პეტრიწიც მინდობია საქართველოს მეფეს და მთელი ძალით შესდგომია მოღვაწეობას. 1114 წელს გელათის აკადემიაში მოღვაწეობა დაიწყო ქართველმა სასულიერო მოღვაწემ, ფილოსოფოსმა, მწერალმა და ჰიმნოგრაფმა **არსენ იყალთოელმა.** წყაროებში არსენი ვაჩესძედაა მოხსენიებული. იგი წარმოშობით იყალთოდან ყოფილა, განათლება ბიზანტიაში მიუღია (მისი მასწავლებლები იყვნენ მიქაელ ფსელოსი და იოანე ნომოფილაქსი); ერთხანს შავ მთაზე მოღვაწეობდა **ეფრემ მცირის** ხელმძღვანელობით. არსენ იყალთოელი თეოფილე ხუცესმონაზონთან და იოანე ტარიჭისძესთან ერთად ჩამოსულა საქართველოში და გელათის აკადემიაში დაუწყია მოღვაწეობა. აქვე უთარგმნია მას „დიდი სჯულისკანონი“.

გელათის აკადემიაში მოღვაწეობდნენ ქართული მეცნიერებისა და კულტურის ყველაზე უფრო გამოჩენილი პირები, რამაც მისი, როგორც უმაღლესი კულტურული და სასწავლო კერის, მნიშვნელობა უაღრესად გაზარდა და ფრიად ავტორიტეტული გახადა.

გელათის აკადემიას, როგორც წყაროებიდან ჩანს, **მოძღვართმოძღვარი** ხელმძღვანელობდა, რომელიც, ბუნებრივია, მეტად განათლებული და ამასთან პატივცემული პირი იყო.

გელათის აკადემიის ისტორიის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი შენობის ნაშთებს. ასეთადაა მიჩნეული მონასტრის ეზოში უზარმაზარი გრძელი დარბაზის ნანგრევები ფანჯრის კამარებით. დადასტურდა, რომ ეს შენობა, რომელიც დარბაზებისა და ოთახებისაგან, ამასთან სპეციალური დანიშნულების სათავსოებისაგან (საჯდომები მსმენელთათვის, კათედრა მოძღვართათვის, თახჩები სახელმძღვანელოებისათვის, დიდი ფანჯრები, ცალკე შესასვლელი) შედგებოდა, საერო ხუროთმოძღვრების ძეგლია. გელათის აკადემია, როგორც ჩანს, უზრუნველყოფილი იყო მდიდარი მატერიალური ბაზითაც.

გელათის აკადემიაში, ისე როგორც იმდროინდელი ბიზანტიის სქოლასტიკურ უმაღლეს სკოლებში, ისწავლებოდა მეცნიერების შვიდი ძირითადი დარგი: გრამატიკა, ფილოსოფია, რიტორიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა და ასტრონომია.

ამ პერიოდის საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრები, გელათის გარდა, სხვაც იყო. უმაღლესი სასწავლებელი იყო იყალთოში – იყალთოს აკადემია. ეს დასტურდება მონასტრის ეზოში შემორჩენილი შენობის ნანგრევებით, რომლებიც საერო ნაგებობისა უნდა იყოს. ნანგრევებში ჩანს თახჩა-ფანჯრები, კათედრის ფუძე და სხვ. იყალთოს აკადემიის დამაარსებელი და მისი პირველი ხელმძღვანელი (რექტორი) იყო არსენ იყალთოელი, რომელიც XII საუკუნის ოციან წლებში გელათიდან იყალთოში წასულა.



იოანე პეტრიწი

უმაღლესი სწავლების სხვა კერებიდან გადმოცემა გრემს ასახელებს.

ცხადია, ფეოდალური საქართველოს ძლიერ, ცენტრალიზებულ სახელმწიფოში ბევრი იქნებოდა სასწავლო ცენტრები, მაგრამ, სამწუხაროდ, ცნობები მათ შესახებ არ შემოგვრჩა.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ იმდროინდელ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ გელათის აკადემიაში, გარდა დასახელებული შვიდი ძირითადი საგნისა, ისწავლებოდა საქართველოს ისტორია და მედიცინაც, რომ XIII საუკუნის დასაწყისში თარგმნილი სამკურნალო ხასიათის „წიგნი სააქიმოჲ“ სასწავლო დანიშნულების სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო, რომელიც გელათის აკადემიაში მედიცინის საგნის სწავლების საქმეს ემსახურებოდა.

ერთი სიტყვით, XI-XII სს. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება მაღალ აკადემიურ დონეზე იყო. ამ სასწავლებლების კურსდამთავრებულნი მაღალგანსწავლულნი იყვნენ.

### ქართული მწიგნობრობის კერები საზღვარგარეთ

**ფეოდალური საქართველოს სამეფო ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურული ცენტრების გამრავლებას საზღვარგარეთაც.** ამ მხრივ განსაკუთრებით დავით აღმაშენებელი გამოირჩეოდა.

საზღვარგარეთული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებისადმი დიდ ყურადღებას იჩენდა **მეფე თამარიც.** იგი მრავალ შესაწირავს აგზავნიდა უცხო სავანეთა მოსახმარად, უყურადღებოდ არ ტოვებდა ქართველ მორწმუნეებს.

საზღვარგარეთის ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებში (ივერიის მონასტერი ათონის მთაზე, მონასტერი შავ მთაზე, სირიაში; პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში და სხვ.) ფართო ლიტერატურულ-ფილოსოფიური და მთარგმნელობითი მუშაობა გაიშალა. ამ პერიოდში შეიქმნა არაერთი ორიგინალური ნაწარმოები და ითარგმნა ქართულ ენაზე მსოფლიო კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობდა ეროვნული მეცნიერებისა და მწერლობის წინსვლა-განვითარებას.

საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველებიდან შორს გაითქვეს სახელი გიორგი მთაწმინდელმა, ეფრემ მცირემ, გიორგი ხუცესმონაზონმა (მცირემ) და სხვებმა.

### ხელოვნება

**XI-XII საუკუნეების საქართველოში განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის ხუროთმოძღვრება.** ამ პერიოდში შეიქმნა შუა საუკუნეების საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი ტაძრები, რომლებშიაც მკაფიოდ გამოჩნდა ახალი სტილისტური ნიშნები. XI საუკუნის ძეგლებია – ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, სვეტიცხოველი მცხეთაში, ალავერდის კათედრალი კახეთში, სამთავისის ტაძარი ქართლში, ნიკორწმინდის მონასტერი რაჭაში და სხვ.; XII საუკუნისა – გელათის მონასტრის დიდი ტაძარი, თიღვის გუმბათოვანი ეკლესია, იკორთის, ბეთანიის, ქვათახევის ტაძრები და სხვ.



ეფრემ მცირე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 36, 41, 44, 49, 54, 59, 64, 69, 74, 79, 82, 86, 91, 96, 100


იყალთოს აკადემია

ფე და დავით სოსლანი მოიხსენიებიან), მაღალაანთ ეკლესია (ქართლი), კაზრეთი (ქვემო ქართლი), გუდარეხი (ქვემო ქართლი), ლურჯი მონასტერი (თბილისი) და სხვ.

XI საუკუნის საერო ნაგებობათა შორის მნიშვნელოვანია **გეგუთის სასახლე** (ამ სასახლის ერთი ნაწილი უფრო ძველია), რომელსაც საagaraკო ან სანადირო დანიშნულება ჰქონდა. ეს სასახლე, როგორც შემორჩენილი ნანგრევებიდან ჩანს, გრანდიოზული იყო, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ თუ ამ ტიპის ნაგებობა ესოდენ დიდი იყო, მაშინ, უნდა ვიფიქროთ, რომ ძირითადი სამეფო სასახლეები სატახტო ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი) კიდევ უდრო მასშტაბური იქნებოდა.

საქალაქო სახლების ნაშთები აღმოჩნდა დმანისისა და სამშვილდის ნაქალაქარებში, გუდარეხის სამონასტრო ანსამბლში. სტილის თვალსაზრისით სამოქალაქო შენობები ახლოს არიან საეკლესიოსთან, მათი განსხვავება ძირითადად ფუნქციური ხასიათისაა.

გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის დროს აიგო ქუთაისის ტაძარი, რომელიც ბაგრატის ტაძრის სახელითაა ცნობილი. ამ ტაძრის მშენებლობა 1103 წელს დაუმთავრებიათ.

სვეტიცხოვლის ახლანდელი ტაძარი XI ს. პირველი მესამედის (1010-1029 წწ.) ნაგებობაა. იგი ქართლის კათალიკოსის მელქისედეკის თაოსნობით ხუროთმოძღვარ **არსუკიძეს** აუგია. მიუხედავად გარკვეული დაზიანებისა და შემდგომ შეკეთებისა, სვეტიცხოველმა შეინარჩუნა თავისი სიდიადე, ფორმათა დახვეწილობა. მონუმენტურია შენობის საერთო იერი, გრანდიოზულია შიდა სივრცეც.

ქუთაისისა და მცხეთის ტაძრებს ენათესავება ალავერდის კათედრალი, იგი ყველაზე მაღალი ტაძარია საქართველოში; არსებითად პირვანდელი სახითაა შემორჩენილი. გამორჩეულია სამთავისის ტაძარი, რომელიც 1030 წელსაა აგებული ვაჩე ყანჩაელის ძის **ილარიონ სამთავნელის** (სამთავისის ეპისკოპოსი) მიერ. ძეგლი შემკულია ბრწყინვალე ჩუქურთმებით. თაღები, ჯვარი, საპირე, კვადრატები — მთლიანსა და უწყვეტ ანსამბლს ქმნიან. სამთავისი, პრაქტიკულად, წინამორბედია განვითარების იმ საფეხურისა, რომელიც XII საუკუნის ქართულ ხუროთმოძღვრებაში გამოვლინდა.

XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია: იშხნის ტაძარს (რომელიც **ივანე მორჩაისძემ** გადააკეთა და ჩუქურთმებით შეამკო), ნიკორწმინდას — რელიეფებითა და ჩუქურთმებით უმდიდრეს ძეგლს (1110-1114 წწ.), სამთავროს კათედრალს, მანგლისის ტაძარს. ამ დროს აგებული ერთნავიანი ეკლესიებია: ხცისი (1102 წ.), ფოკა, სავანე (1046 წ. ხუროთმოძღვარი ჰარამაჲ), ქორეთი და სხვ.

XII საუკუნის ქართულ ხუროთმოძღვრებას გელათი უდგას სათავეში. აქ აშენდა: ღვთისმშობლის სახელობის დიდი ტაძარი, წმიდა გიორგის ეკლესია, სამრეკლო და აკადემიის შენობა.

მთავარი ტაძრის კედლები და კამარები მოხატულია.

დავით აღმაშენებლის ბრძანებით იქნა აგებული შიომღვიმის ზემო ეკლესია (ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი). დავით აღმაშენებლის ასულს თამარს აუგია **თიღვის** (შიდა ქართლი, ახლანდელი ზნაურის რაიონი) გუმბათოვანი ეკლესია (მკაცრი, ასკეტური სტილისა). ამავე პერიოდშია აშენებული მშვენიერი ჩუქურთმებით შემკული ეკლესია **საორბისში**.

XII საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XIII საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში შეიქმნა გუმბათოვანი ტაძრები, რომლებიც მაღალი მხატვრული ღირსებებით ხასიათდებოდა. ეს ეკლესია-ტაძრები დასახლებული ცენტრებისაგან საკმაოდ მოშორებით ტყიან ხეობებშია აგებული. ისინი წინა საუკუნის გრანდიოზულ ტაძრებთან შედარებით უფრო მომცრონი არიან და ინტიმურ შთაბეჭდილებას ტოვებენ. ამ ტიპის ტაძრებია: იკორთა (1172 წ., ქართლში), ბეთანია (ვერეს ხეობაში), ქვათახევი (ქართლში), ფიტარეთი (ქვემო ქართლში), წულრულაშენი (ქვემო ქართლში), დმანისის კარიბჭე (ქვემო ქართლში), ერთაწმინდა (ქართლში) და სხვ. ამავე ჯგუფს განეკუთვნება აგურით ნაშენი ორი ტაძარი: ტიმოთესუბანი და ყინწვისი, ერთნავიანი ეკლესიები: ლამაზი საყდარი (ხრამის ხეობაში; აღსანიშნავია, რომ მის წარწერაში თამარ მე-


გელათის აკადემია

საერო ნაგებობათაგან განსაკუთრებულადაა მოსახსენებელი გელათის აკადემიის შენობა (XII ს. სამონასტრო ანსამბლში). იგი ერთსართულიანია, შედგება დიდი საკრებულო დარბაზისა და ორი შესასვლელი კარიბჭისაგან.

ქართულ ხუროთმოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კლდეში გამოკვეთილ სამონასტრო კომპლექსებს — **დავით გარეჯსა** და **ვარძიას**.

ვარძიის ხუროთმოძღვრული კომპლექსის მშენებლობა გიორგი მესამემ დაიწყო და მისმა ასულმა — თამარმა დაასრულა.

ვარძიის მახლობლად მთაშია გამოკვეთილი იმავდროინდელი **ვაჰანის** ანუ **ვანის ქვაბები,** რომელსაც ასევე სამონასტრო დანიშნულება ჰქონდა. შემორჩენილია კლდეში გამოკვეთილი სხვა კომპლექსებიც (მაგ., სამსარის გამოქვაბული ჯავახეთში).

XI-XII სს. მნიშვნელოვანი საინჟინრო ნაგებობებია შიომღვიმე-სხალტბის წყალსადენი (აგებულია თამარის დროს), **ბესლეთისა** (სოხუმთან) და **დონდალოს** (აჭარაში) ხიდები. განვითარებული იყო ციხესიმაგრეთა მშენებლობის საქმე. ისინი მიუვალ კლდეებზე შენდებოდა იმ მიზნით, რომ მოხერხებულად დაეცვათ გზები, ხეობები ან ქალაქები. ამ დროის ციხესიმაგრეებს სათოფურები არ გააჩნიათ (ეს ბუნებრივია, რადგან ისინი შენდებოდა ცეცხლსასროლი იარაღის შემოსვლამდე). ნიშანდობლივია, რომ ციხესიმაგრეები ისეა შერწყმულ-შეზრდილი კლდეებთან (რომლებზედაც გაშენებულია), რომ ერთი მთლიანის შთაბეჭდილებას ქმნიან. მძლავრი და მონუმენტურია სამხრეთ საქართველოს ციხეები: ხერთვისი, აწყური, ოქროს ციხე, თმოგვი და სხვ.

## ანონსი

**მომავალ ხუთშაბათს: „სახვითი ხელოვნება და ლიტერატურა რუსთაველის ეპოქაში“**

# უყურე შენ, ბოტანიკურ ბაღში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას იგეგმება!

**ნაციონალური მოძრაობის ინფორმაციით ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძესა და შპს „წავკისის ჰესს“ შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც, ბოტანიკურ ბაღში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა იგეგმება.**



როგორც ნიკა მელიამ და ირაკლი აბესაძემ ბოტანიკურ ბაღში გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს, კომპანია ,,წავკისი ჰესმა" თბილისის მერიას უკვე მიმართა აღნიშნული ტერიტორიის მის ბალანსზე გადაცემის თხოვნით.

**,,ხელთ ჩაგვივარდა დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც, ივანიშვილი კვლავ მალულად, თითქოს სხვისი კომპანიის ხელით აპირებს ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის მიტაცებას. შარშან წლის ბოლოს კალაძემ, როგორც ენერგეტიკის მინისტრმა და ივანიშვილის კომპანიამ „წავკისი ჰესი“, გააფორმეს მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც ბოტანიკურ ბაღში და მის მიღმა უნდა აშენდეს არც მეტი, არც ნაკლები, ჰიდროელექტროსადგური თავისი კაშხალით. ბატონი კალაძე და ნარმანია უნდა გამობრძანდნენ და აუხსნან საზოგადოებას, თუ რასთან გვაქვს საქმე. წარმოუდგენელია რომ აქ, უნიკალურ ბოტანიკურ ბაღში და მის მიღმაც, ე.წ. წავკისის ველის ტერიტორიაზე აშენდეს ჰიდროელექტროსადგური.**

**ფაქტი არის შემაშფოთებელი — მაშინ, როდესაც თვე-ნახევრის წინ ჩვენ ვაპროტესტებდით 29 ჰექტარს და 4 ჰექტარის მიტაცებას ბოტანიკური ბაღისგან, ამ დროს თურმე ბატონი კალაძე ივანიშვილის დავალებით ჩარხავდა ახალ გეგმას, რომლის მიხედვითაც, ივანიშვილის რეზიდენციას, ტელეკომპანიას GDS-ს და ყველა იმ შენობას, რომელიც ამ ტერიტორიაზეა, ექნება დამოუკიდებელი ელექტროენერგიის წყარო“,** — განაცხადა ნიკა მელიამ.

ირაკლი აბესაძის განმარტებით, ჰიდროელექტროსადგური დაბალი სიმძლავრის იქნება არაკომერციული მიზნით, მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის კუთვნილ შენობებს მოამარაგებს ელექტროენერგიით.

* * *

**თბილისის მერი დავით ნარმანია ნაციონალური მოძრაობის ბრალდებას ეხმაურება იმასთან დაკავშირებით, რომ ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული კომპანია ბოტანიკურ ბაღში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას გეგმავს.** როგორც დავით ნარმანიამ ჟურნალისტებს შესაბამის კითხვაზე საპასუხოდ განუცხადა, ბოტანიკურ ბაღში რაიმე ტიპის შემზღუდავ, ან საზოგადოებისთვის მიუღებელ ქმედებას ადგილი არ ექნება.

**,,პოლიტიკურად გაკოტრებული და სიცრუის ტირაჟირებაზე ორიენტირებული ადამიანების მხრიდან რაიმე სახის განცხადება არ მგონია საზოგადოებისთვის საინტერესო იყოს. არც ჩემთვისაა ეს საინტერესო. ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებით ჩვენ ყველა კითხვას გავეცით პასუხი, როდესაც საკრებულოში მივედი. ბოტანიკური ბაღი და მიმდებარე ტერიტორია კიდევ უფრო ვითარდება და რაიმე ტიპის შემზღუდავ, ან საზოგადოებისთვის მიუღებელ ქმედებას იქ ადგილი არ ექნება“,** — განაცხადა დავით ნარმანიამ.

# ვერეს ხეობა ერთი წლის შემდეგ

**თბილისის მერმა დავით ნარმანიამ 8 ივნისს მდინარე ვერეს ხეობაში ერთწლიანი სამუშაოების შედეგები შეაჯამა და აღნიშნა, რომ 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად მხოლოდ კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეკონსტრუქციისთვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან 40 მლნ ლარი დაიხარჯა.**

სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა გმირთა მოედნიდან თამარაშვილის ქუჩამდე აავტომაგისტრალს (ჭ.ამირეჯიბის გზატკეცილი), აშენდა ახალი ხიდი, ნაპირდამცავი კედელი, აღდგა 6 გვირაბი, პანდუსებზე დაიგო ასასვლელი და ჩამოსასვლელი გზების ასფალტის საფარი, განათების სისტემა, მოეწყო ახალი თვალამრიდები და გაბიონის ტიპის ნაგებობები, წყალამრიდი სისტემები და ცხაურები. გმირთა მოედანზე განახლდა სტიქიის შედეგად დაზიანებული ასფალტის საფარი, კუნძულები... და მდინარე მტკვრის მოაჯირები.



**„— სტიქიის შემდეგ ინტენსიურად მიმდინარეობდა გაწმენდითი სამუშაოები და დასრულდა ტერიტორიის გაწმენდა-დასუფთავება. ჩვენ სწრაფად დავიწყეთ ინფრასტრუქტურის აღდგენა. დღეის მდგომარეობით, ყველა სამუშაო არის დასრულებული, თუმცა ჩვენ ვაგრძელებთ დამატებით განვითარებასთან დაკავშირებულ პროექტებს. უკვე გვაქვს მზა კონცეფცია მზიურისა და მიმდებარე ტერიტორიის განვითარებასთან დაკავშირებით. კეთდება კონკრეტული პროექტი „მზიურის“ ტერიტორიის გამწვანებისა და მისი შემდგომი განაშენიანებისა, რომლის საფუძველზეც დაიწყება „მზიურის“ განვითარება და „მზიური“ იქცევა თანამედროვე, ძალიან გამწვანებულ და ლამაზ პარკად. ასევე მოხდება მდინარე ვერეს კალაპოტის ფორმირება, რომელიც ერთის მხრივ, ადიდების შემთხვევაში მდინარის გადმოსვლას ხელს შეუშლის და მეორეს მხრივ, დაიცავს გარშემო ტერიტორიებს. ეს ორი პროექტი არის ის პროექტები, რომელსაც ჩვენ მომავალში განვახორციელებთ,** — განაცხადა დავით ნარმანიამ.

პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, მდინარე ვერეს ხეობაში მიმდინარე წელს აშენდება ნატანდამჭერი ცხაურები, რაც ძლიერი წვიმისა და წყალდიდობის შემთხვევაში, ვერეს ხეობას დაზიანებისგან დაიცავს. მიმდინარეობს კოჯორი-სამადლოს დამაკავშირებელი 6-კმ-ანი გზის კაპიტალური რეაბილიტაცია, წყნეთი-ახალდაბის გზის გაფართოებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები, დასრულდა წყნეთის საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლების მშენებლობა, ასევე, წყნეთში მდებარე „მასწავლებელთა გადამზადების ცენტრთან“ დამცავი კედლის მოწყობა.

მიმდინარე წლის 13 ივნისს იხსნება ტენდერი და დაიწყება მუშაობა მდ.ვერეს კალაპოტის ფორმირებაზე — ნაპირდამცავი ჯებირების მშენებლობაზე.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**ირლანდიური გამოცემა „The Irish Times", საქართველოს შესახებ ვრცელ სტატიას აქვეყნებს სადაც ნათქვამია, რომ, როცა რუსეთი საქართველოს ტერიტორიებს იტაცებს, ევროკავშირი სხვა მხარეს არ უნდა იყურებოდეს.**

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი" გთავაზობთ სტატიის მიმოხილვას.**

# „THE IRISH TIMES" (ირლანდია): საქართველოს თავის საზღვრებში „კიდევ ერთი ყირიმის გაჩენის" ეშინია




პუბლიკაციაში საუბარია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით დონდუას ვიზიტზე ირლანდიაში, რომელიც 17-18 მაისს გაიმართა. დუბლინში ყოფნისას ქართველ დიპლომატს „აირიშ თაიმსის" კორესპონდენტი რედჰემ მაკკორმაკი შეხვდა და ინტერვიუ ჩამოართვა.

დავით დონდუა, რომელიც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელია ჟენევაში აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „გაყინული კონფლიქტების" მოსაგვარებლად მიმდინარე კონსულტაციებზე, ირლანდიელ ჟურნალისტთან საუბარში ამბობს, რომ მოსკოვი ამ რეგიონების შთანთქმას ყირიმის მსგავსად ცდილობს. რუსეთმა საქართველოსთან 2008 წელს მომხდარი ომის შემდეგ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ათასობით სამხედრო მოსამსახურე და სამხედრო ტექნიკა განალაგა. სოხუმისა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებასთან მოსკოვის მიერ გაფორმებულ შეთანხმებებში თბილისი ამ რეგიონების რუსეთთან მიერთების მცდელობას ხედავს. როგორც დავით დონდუა ამბობს, რუსები ამას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ, ყირიმისაგან განსხვავებით, უფრო ნელა, თანდათანობით აკეთებენ. შესაბამისად, საქართველოსთვის უფრო რთული ხდება საერთაშორისო თანამეგობრობის გაფრთხილება და მისი მობილიზება პრევენციული ზომების მისაღებად.

**„საერთაშორისო პრესას არ აინტერესებს ის მოვლენა, როცა არ ისვრიან, არ იხოცებიან ადამიანები, ბომბები არ ფეთქდება. ჩვენდა საბედნიეროდ, ღია კონფლიქტი არ მიმდინარეობს, მაგრამ არც მშვიდობა არ არის",** — აცხადებს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. იგი ეხება საქართველო-რუსეთის ურთიერთობას და აღნიშნავს, რომ მმართველი კოალიცია „ქართული ოცნება" ხელისუფლებაში მოსვლის დროიდან (2012 წლის ოქტომბრიდან), რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას ცდილობს — განახლდა ვაჭრობა, გაიხსნა კომუნიკაციის არაოფიციალური არხები, რუსულენოვან მასმედიას საქართველოში მაუწყებლობის ნება მიეცა და ა.შ. თუმცა, ამის მიუხედავად, უსაფრთხოების საკითხების მოგვარება ჩიხში შევიდა: რუსეთი საქართველოსაგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ ძალის გამოუყენებლობის თაობაზე შეთანხმების გაფორმებას ითხოვს, საქართველო კი აცხადებს, რომ უპირველესად აუცილებელია დაახლოებით 200 ათასი იძულებით გადაადგილებული პირის (უმთავრესად ქართველების) დაბრუნება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ამ საკვანძო საკითხებზე შეთანხმება ჯერჯერობით მიღწეული არ არის. მასალაში ნათქვამია, რომ თბილისი ევროპულ ქვეყნებს რუსეთთან ურთიერთობებში საქართველოს დაცვასა და მოსკოვზე ზეწოლას სთხოვს. რუსეთის უკანონო ქმედების შეჩერება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა მოსკოვი მიხვდება — ასეთი პოლიტიკის გატარება მას ძალიან ძვირი დაუჯდება.

საქართველოს მთავრობისათვის უფრო მნიშვნელოვანია ევროკავშირთან დაახლოება, რათა თავის აფხაზ და ოს თანამოქალაქეებს რუსეთთან ცხოვრების ალტერნატივა აჩვენოს. გასული ოთხი წლის განმავლობაში საქართველომ თავისი ეროვნული კანონმდებლობა ევროკავშირს შეუთანხმა, უკვე ხელმოწერილია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც თავისუფალ ვაჭრობას ითვალისწინებს. ამ ზაფხულს კი საქართველოს მოქალაქეები უვიზო რეჟიმის მიცემას ელოდებიან, ევროკავშირის ქვეყნებში თავისუფლად სამოგზაუროდ. „ამით ის ადამიანები, რომლებიც საოკუპაციო ხაზის მიღმა არიან, დარწმუნდებიან, რომ საქართველოში ცხოვრება ევროპაში ცხოვრებას ნიშნავს", — ამბობს ინტერვიუში დავით დონდუა.

**„საქართველო ევროპული სახელმწიფოა — მენტალიტეტით, კულტურით, რელიგიით, ფასეულობებით... ჩვენი კანონები სრულიად ეთანხმება ევროკავშირის კანონებს, მაგრამ ეს არასაკმარისია. გვჭირდება უფრო მეტი აქტიური კონტაქტები. ჩვენ გვინდა, რომ ქართველები ევროპაში გაემგზავრნონ და იქ საკუთარი თვალით დაინახონ, როგორ ცხოვრობენ ევროპელები, გამოცდილება გაიზიარონ და უკან წარმატებული პრაქტიკული შედეგით დაბრუნდნენ",** — აცხადებს დავით დონდუა „აირიშ თაიმსის"კორესპონდენტთან საუბრისას.

დასავლეთთან ინტეგრაციის განვითარების ფონზე საქართველოს მთავრობა საკმაოდ არის შეშფოთებული იმით, რომ რუსეთი სულ უფრო აგრესიულად იყენებს ე.წ. „რბილ ძალას", რითაც საზოგადოებაში მხარდაჭერის მოპოვება სურს. მოსკოვი საქართველოში ძალიან ბევრ ფულს ხარჯავს სხვადასხვა საზოგადოებრივი ფონდების დასაფინანსებლად, რომლებიც მისი მიზნების განხორციელებას ემსახურებიან.

როგორც დავით დონდუა ამბობს, რუსეთი ქართველების თვალში ევროკავშირთან და ნატოსთან ინტეგრირების კომპრომეტირებას ვერ შეძლებს, მაგრამ მოსკოვი ყურადღებას ინტეგრირების პროცესზე ამახვილებს, რომელიც ისე სწრაფად არ მიდის, როგორც ქართველებს სურთ. **„მათი განცხადება ასეთია: დიახ, ეს ორგანიზაციები კარგია, მაგრამ თქვენ მათში ვერასოდეს გაწევრიანდებით, რადგან მათ საქართველო და თქვენი რეგიონი არ აინტერესებთ",** — ქართველი დიპლომატის ამ სიტყვებით მთავრდება ინტერვიუ.



### თვითმფრინავმა EGYPT AIR უზბეკეთში აფეთქების საფრთხის გამო ავარიული დაჯდომა განახორციელა

პორტალ „ალ-ახრამის" მონაცემებით,955-ე რეისის გაფრენის შემდეგ მალე კაიროს საერთაშორისო აეროპორტის ადმინისტრაციაში შემოვიდა ანონიმური ზარი თვითმფრინავის ბორტზე ასაფეთქებელი ნივთიერებების დამონტაჟების შესახებ. მიიღეს გადაწყვეტილება, დასვან ლაინერი უზბეკეთში.

### კენიაში მაიმუნი ელექტროსადგურში შეძვრა, დაეცა ტრანსფორმატორზე, უშუქოდ დატოვა მთელი ქვეყანა და ცოცხალი გადარჩა

ცხოველი შეძვრა ჰიდროელექტროსადგუში ღამით და დაეცა ტრანსფორმატორს, რამაც გამოიწვია სხვა მოწყობილობის დაზიანება. კომპანიის სამმართველოში შეაკეთეს ჰიდროელექტროსადგურის დაზიანებული უბნები და დაგვპირდნენ, რომ განამტკიცებენ უშიშროებას.

### ბურუნდიში სკოლის 11 მოსწავლე ჩასვეს ციხეში პრეზიდენტის ფოტოს გაფუჭებისათვის

დაპატიმრებული მოზარდები 14-დან 19 წლამდე არიან.

## დედამიწის ზურგზე

**პრეზიდენტის ფოტოგრაფია, რომლებიც მათ დააზიანეს, დაბეჭდილი იყო ერთ-ერთ სახელმძღვანელოში. მოზარდების დაპატიმრებამ პროტესტები გამოიწვია. საქმე მივიდა სროლამდე, არიან დაჭრილები.**



### რუსეთმა ყაზახეთს აუნაზღაურებლად მიაწოდა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები და რაკეტები, განაცხადა შოიგუმ

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელმა შესაბამისი განცხადება გააკეთა ასტანაში ყაზახეთის თავდაცვის მინისტრ იმანგალი ტასმანგამბეტოვთან შეხვედრის დროს. შოიგუს სიტყვებით, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები С-300ПС გადაეცა ყაზახეთს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ერთიანი რეგიონალური სისტემის განმტკიცებისათვის.

### აქტობაში თავდასხმაში ძებნილმა ექსტრემისტებმა ცეცხლი გაუხსნეს პიონერთა ბანაკის დაცვას

ექვსი ექშმიტანილი მაინც თავისუფლებაში იმყოფება. ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა გასცა განკარგულება, დააკავონ ყველა სავარუდო დამნაშავე, რომელთა განადგურებაც ბრძანა შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის დროს.

### ერდოღანმა ხელი მოაწერა კანონს თურქი პარლამენტარებისთვის სადეპუტატო ხელშეუხებლობის ჩამორთმევის შესახებ

ახლა პროკურატურას ნება ეძლევა, აწარმოოს სისხლის სამართლის გამოკვლევა ნებისმიერი 138 პარლამენტარიდან, რომლებიც ამჟამად ძიებაში იმყოფებიან. 101 მათგანი წარმოადგენს ორ ძირითად ოპოზიციურ პარტიას — ხალხთა დემოკრატიის საპროკურორო პარტიასა და მემარცხენე-ცენტრისტულ სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას.



◉ ენერგოშემცველი

# ზეგავლენის აგენტი

**ნავთობისა და მასზე ფასების ცვალებადობის შესახებ ამჟამად არა მარტო საქმიანი გამოცემები წერენ, არამედ მასალებს უამრავი სხვა მიმდინარეობის ჟურნალ-გაზეთიც აქვეყნებს. ამავე დროს, საინტერესოა, თუ რატომაა, რომ სუსხიან ჩრდილოეთში თუ ცხელ სამხრეთში მოპოვებული ეს ტალახიანი, სუნიანი, ბლანტი სითხე ასეთ ყურადღებას იპყრობს?**

ენერგიის ტრანსპორტირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის განვითარებისთვის. ვიდრე ეკონომიკა მხოლოდ ენერგიის წარმოების ადგილებში მოიხმარება, ეკონომიკური ზრდა მხოლოდ იქ ხორციელდება, დანარჩენი რეგიონები კი სუსტად ვითარდება. ცხადია, ენერგია ყველგან არის, სადაც ადამიანი სახლობს, მაგრამ ზოგან იგი მეტი ოდენობითაა, ზოგან ნაკლებით. ამიტომაცაა, რომ ეკონომიკას ერთგვარი „შუამავალი აგენტი“ სჭირდება, რომლის მეშვეობით ენერგიის დიდ მანძილზე ტრანსპორტირებაა შესაძლებელი. ესაა ერთგვარი „ენერგეტიკული გამთანაბრებელი“, რომელსაც სხვადასხვა რეგიონის საბაზო შესაძლებლობები ერთმანეთთან შესაბამისობაში მოჰყავს. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე სულ ორი ასეთი აგენტი იყო.



სამრეწველო რევოლუციამდე, ვიდრე სამუშაოს ნაწილი მექანიზმებზე გადანაწილდებოდა, ენერგიის მთავარი წყარო ადამიანის შრომა იყო. მართალია, ადამიანი ცდილობდა მის რაღაცით ჩანაცვლებას — ცხოველებს სიმძიმეები გადაჰქონდათ, მიწას ხნავდნენ, მდინარეებისა და ქარის ენერგია წისქვილებს ატრიალებდა, სითბოს, საკვების მოსამზადებლად და ლითონის მისაღებად ხესა და ქვანახშირს წვავდა, თუმცა ამ დამატებით წყაროებს ორი საკვანძო ნაკლი ჰქონდა — **ლოკალურობა** და **დაბალი ეფექტიანობა**.

ხელით შრომის ენერგია ძველ და შუა საუკუნეებში იაფი, უნივერსალური და „თავისი სვლით“ მისი დიდ მანძილებზე ტრანსპორტირება შეიძლებოდა. სწორედ ამან განაპირობა ათასწლეულების მანძილზე მონებით ვაჭრობა.

მონების შემდეგ კი „ენერგეტიკული შუამავლის“ როლი ნახშირწყალბადებმა, რიგრიგობით **ქვანახშირმა, ნავთობმა** და **გაზმა** იტვირთეს. საწვავის სხვა სახეობებთან შედარებით ნავთობი (უფრო სწორად კი მისი წარმოებულები) ენერგიის უაღრესად მოხერხებული წყაროა, მისი გადაადგილება ნებისმიერ მანძილზე, ნებისმიერი ტრანსპორტით, მათ შორის მილსადენებით შეიძლება.

**გლობალური ეკონომიკის თვალსაზრისით, ნავთობი ამჟამად შეუცვლელი რესურსია, რომლის მეშვეობით ენერგიის შევსება დედამიწის ნებისმიერ ადგილზეა შესაძლებელი, სადაც ამის საჭიროება წარმოიქმნება.** ამიტომაცაა, რომ ნავთობის ფასზეა დამოკიდებული ეკონომიკური ზრდის „წერტილებში“ მიღებული ენერგიის ფასი: რაც უფრო ძვირია ნედლეული, მით უფრო ნაკლებია ტრანსპორტირებული ბარელების ოდენობა, მით უფრო მეტი ღირს საბოლოო პროდუქცია და მომსახურება. ამიტომაც, ორივე შემთხვევაში ეკონომიკური ზრდის ტემპები მოსალოდნელზე დაბალი იქნება.

ბოლო 30 წლის მანძილზე გამოთქმული პესიმისტური პროგნოზების მიუხედავად, **თითქოს დედამიწაზე ნავთობის მარაგი 20-40 წლის სამყოფიღა დარჩა, იგი არასდროს ამოიწურება.** სხვა საქმეა, რომ ენერგიის მისაღებად მისი გამოყენება-მოპოვება სიძვირის გამო, აქტუალური აღარ იყოს. **ამ მხრივ უპირატესობა ბუნებრივ გაზს აქვს: ერთი რომ ის გაცილებით ბევრია, მეორეც — იგი გარემოს ნაკლებად აბინძურებს.** მაგრამ, ოდესღაც, გაზის მარაგები რომ ამოიწურება, კვლავ ენერგიის ადგილობრივი წარმოების პერიოდი დადგება — **ეს იქნება ატომური, მზისა და ქარის ელექტროსადგურები, რომელთა აშენება ყველგანაა შესაძლებელი.** შესაბამისად, მსოფლიო ეკვივალენტი შუამავლის ადგილი კვლავ გათავისუფლდება.

მანამდე კი გამუდმებით ვხვდებით ნავთობის სხვადასხვა მარკის და ოდენობის გამომხატველ ბევრისთვის უცხო სახელწოდებებს, რომელთა განმარტებებს გთავაზობთ.

**მოამზადა**
**ოთარ ტურაბელიძე**

◉ ინფორმაცია თემაში

***ნავთობი*** *— ესაა მრავალი ნახშირწყალბადისა და მინარევის ნაზავი. სხვადასხვა საბადოზე მოპოვებული სითხე შემადგენლობით, თვისებებით და, რაც მთავარია, სიმკვრივითა და გოგირდის შემცველობითაა განსხვავებული. მისით ვაჭრობის გასაიოლებლად შემოიღეს ეტალონური (სამარკერო, სტანდარტული) ხარისხები, რომელთა ფასებს ბაზარი განსაზღვრავს. სულ სამი ეტალონური ხარისხია: Brent, WTI და Dubai Crude. პირველი ორი ერთმანეთის მსგავსია, მესამე კი გაცილებით გოგირდიანი. WTI — ეს ტეხასური ნავთობია, Dubai Crude — არაბული საექსპორტო, ხოლო Bzent კი, ფაქტობრივად, არ არსებობს — ესაა ვირტუალური ხელოვნური კონსტრუქცია, რომელიც მხოლოდ ათვლის წერტილად გამოიყენება რეალურ ნავთობზე ფასების დასადგენად.*

***ბარელი*** *კი, რომლითაც ნავთობის გარკვეული ოდენობა იზომება — ესაა ჩვეულებრივი კასრი, რომლებშიც პენსილვანიის სანავთობო ველებზე მუშებისთვის ვისკის ასხამდნენ. ცარიელა ტარა უკან რომ არ ეზიდათ ანდა ადგილზე რომ არ გადაეგდოთ, ამ კასრებით ნავთობის გადატანა გადაწყვიტეს. შესაბამისად, მიწოდებული ნავთობის ანგარიში, „კასრებით“ დაიწყეს და ეს წესი დღემდე შემორჩა. მისი მოცულობა 42 ამერიკული გალონის, ანუ 158,987 ლიტრის ტოლია. საგულისხმოა, რომ ბარელი — ესაა მოცულობის და არა წონის ერთეული, ამიტომაც სხვადასხვა საბადოს ნავთობის ერთი ბარელი წონითაც განსხვავებულია.*

◉ თვითმმართველობები

# ჯარიმებით გაზრდილი ბიუჯეტი...

**ახალციხის გამგეობაში ჯარიმებისა და საურავებიდან შესულმა თანხამ ბიუჯეტის გაზრდა განაპირობა. ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ პროცესი ხელოვნურია. ჯარიმებისა და საურავებიდან შესულმა თანხამ ახალციხის გამგეობის 2015 წლის ბიუჯეტი 150 600 ლარით გაზარდა. მუნიციპალიტეტის გამგებლის ზაზა მელიქიძის განმარტებით, ჯარიმების რაოდენობას ბიუჯეტზე ზეგავლენა არ მოუხდენია.**



ახალციხის გამგებლისგან განსხვავებით, საკრებულოს „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა მაკა სუდაძემ განაცხადა, რომ ჯარიმები ხელოვნურად გაიზარდა, რათა ბიუჯეტი გადაჭარბებით შესრულებული ყო.

თუ რა თანხა შევიდა ჯარიმებისა და საურავებიდან ახალციხის მერიის 2015 წლის ბიუჯეტში, მედიისა და ქალაქის საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატებისთვისაც უცნობია. „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ სამცხე-ჯავახეთის კოორდინატორი ჯიმშერ გოგოლაური აცხადებს, რომ ბიუჯეტში ძირითადად საპატრულო პოლიციის მიერ დაწესებული ჯარიმის 40 პროცენტი შედის, ეს სანქციები კი ქალაქში არასწორად დამონტაჟებულმა საგზაო ნიშნებმა და პარკირებამ განაპირობა.

ჯარიმების ხარჯზე 270 პროცენტით გაიზარდა ადიგენის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიც. საკრებულოს დეპუტატები ამბობენ, რომ შემოსავლები ძირითადად ხეტყის უკანონოდ მოპოვებაზე დაწესებულმა სანქციებმა გაზარდა. საკრებულოს ოპოზიციური პარტიის დეპუტატი „ნაციონალური მოძრაობიდან“ რატი ტატალაშვილი აცხადებს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტი მოსახლეობის ხარჯზე ივსება.

ოპოზიციის მტკიცებით, ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტების მსგავსად, 2015 წლის ბიუჯეტის გაზრდა ძირითადად სასამართლო ჯარიმებიდან მიღებულმა თანხამ განაპირობა ასპინძის მუნიციპალიტეტშიც. ასპინძის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში სანქციებისა და საურავებიდან 79 400 ლარი შევიდა.

**მაია იველაშვილი**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

## საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიიღო სესხი და გრანტი (IFAD Loan: # 2000000778; IFAD Grant #: 2000000248) სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტის (AMMAR) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული ხარჯების **გორის მუნიციპალიტეტში არსებული „ძევერა-შერთულის სარწყავი სისტემის და „გარდიგარდმო“ არხის I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია, ლოტი** III-ა კონტრაქტით **# AMMAR/CW/2016/01**.

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად. **კონტრაქტის ხანგრძლივობაა 7 თვე.**

2. კონტრაქტის მინიჭებისათვის კონკურსის მონაწილეებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი **საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

— ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური მოცულობა ეროვნულ ვალუტაში — 3,000,000 ლარი დღგ-ს ჩათვლით

— ბოლო 3 წლის განმავლობაში გენერალური კონტრაქტორის როლში მინიმუმ 1 ანალოგიური ხასიათის და სირთულის, მინიმუმ 1,400,000 ლარის (დღგ-ს ჩათვლით) ღირებულების სამუშაოთა ჩატარების გამოცდილება (ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სამუშაოები არა ნაკლებ 70%–ით უნდა იყოს დასრულებული).

— კონკურსის მონაწილის ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო სახსრების (სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების გამოკლებით) მინიმალური ოდენობაა — 350,000 ლარი.

3. ქართულ ენაზე საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის შეძენა დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ **2016 წლის 9 ივნისიდან** (ყოველდღე 12:00-დან 16:00 საათამდე) ქვემოთ მითითებულ მისამართზე წარდგენილი წერილობითი მოთხოვნისა და ქვემოთ მითითებულ რეკვიზიტებზე 50 ლარის ოდენობის დაუბრუნებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე.

გადახდა უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვით შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22;**

**ანგარიშის ნომერი/სახაზინო კოდი: 302004400;**

**გადახდის დანიშნულებაში აუცილებელია მიუთითოთ სადეპოზიტო ქვე-კოდი — 4411.**

4. საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების გახსნის დღიდან 90 დღის განმავლობაში და მას უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების საბანკო გარანტია (გამოშვებული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ) საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ვადით და ფორმის მიხედვით. საკონკურსო წინადადება უნდა ჩაბარდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს ***2016 წლის 11 ივლისის 12:00 საათისა,*** როდესაც ისინი გაიხსნება დასწრების სურვილის მქონე კონკურსანტების თანდასწრებით.

**5. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო,**

**საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი**

**თბილისი, მარშალ გელოვანის №6, I სართული, საკონფერენციო დარბაზი**

◉ წინ, საქართველო!

# ვაისის აისი



**1964 წლის 18 ნოემბერი, 1976 წლის 3 სექტემბერი და 1981 წლის 13 მაისი ის დაუვიწყარი თარიღებია, ოქროს ასოებით რომ ჩაიწერა ქართული ფეხბურთის მატიანეში. თუ არის ვინმე, ვინც არ იცის, შევახსენებთ, რომ აღნიშნულ რიცხვებს თბილისის „დინამოს", ანუ მაშინდელი ეროვნული ნაკრების საეტაპო მნიშვნელობის წარმატებები უკავშირდება — შესაბამისად სსრკ ჩემპიონობის, თასისა და გვირგვინად — ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მოპოვება.**

ტიტულები, მედლები და, რაც მთავარია — აღიარება და გულშემატკივართა სიყვარული არც მანამდე მოგვკლებია და არც მოგვიანებით (მათ შორის ისევ ქვეყნის ჩემპიონობა და თასი), მაგრამ პირველ, ასე ნანატრ ტრიუმფებს, დაგვეთანხმებით, ვერაფერი შეედრება.

ზესახელმწიფოს დანგრევის შემდეგ დამოუკიდებლობაალდგენილი ქვეყნის საუკეთესო კლუბმა სამშობლოში დსთ-ს თასი ჩამოიტანა, ხორვატი მწვრთნელის ივო შუშაკის ხელმძღვანელობით კი რუსეთის ნაკრებს ვძლიეთ და დედაქალაქის მოსახლეობა ქუჩაში ჩამოვიყვანეთ. თუ თავს არ მოვიტყუებთ, უნდა გამოვტყდეთ, რომ ეს გამარჯვება საყოველთაო გნიასში, გარკვეული დოზით, ნაცპროპაგანდით გაზვიადებული ურაპატრიოტიზმით გადაიზარდა...

და აი, გათენდა 2016 წლის 7 ივნისი და მადრიდში, კლუბ „ხეტაფეს" მშობლიურ „კოლიზეუმის" სტადიონზე ამხანაგურ შეხვედრაში ევროპის სამგზისა (სხვათა შორის — მოქმედი) და 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთი დავამარცხეთ — 1:0 (ოქრიაშვილი). რასაკვირველია, ამ „ძლევაი საკვირველით" თაობები იამაყებენ. ალბათ, სამართლიანადაც, მაგრამ, ვიმედოვნებთ, ქართული ფეხბურთის მამები, გუნდის სლოვაკი თავკაცი ვლადიმერ ვაისი და თვით ბიჭები ეიფორიაში არ ჩავარდებიან, მით უმეტეს მაშინ, როცა საამისო საბაბი ძალიან მალე — სექტემბრიდან მიეცემათ, როცა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი რაუნდი დაიწყება.

**ესპანეთი — საქართველო 0:1**
**კარში დარტყმები 17:4**
**კუთხურები 11:0.**

**გიორგი შოთაძე**

◉ ოლიმპიური ჩემპიონი

*XXII ოლიმპიური თამაშები მოსკოვში 1980 წლის 19 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით გაიმართა. სპორტის 21 სახეობაში მედლების 204 კომპლექტი გათამაშდა. პაექრობებში 80 ქვეყნის 5217 სპორტსმენი (მათ შორის — 1124 ქალი) მონაწილეობდა.*

*1979 წლის დეკემბრის მიწურულს საბჭოთა ჯარის ნაწილები ავღანეთში შეიჭრნენ. აშშ-ის პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა მთელ მსოფლიოს მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტისკენ მოუწოდა, რომელსაც 64 ქვეყანა შეუერთდა, მათ შორის — კანადა, გფრ, იაპონია, ჩინეთი, კენია, ნორვეგია. ამის მიუხედავად, მოსკოვის თამაშებზე დელეგაციები გამოგზავნეს აშშ-ის მოკავშირეებმა - დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ირლანდიამ, იტალიამ, ფინეთმა, ახალმა ზელანდიამ, ესპანეთმა და შვედეთმა.*

*მოსკოვის ოლიმპიადაზე 16-მა ქართველმა სპორტსმენმა 12 მედალი მოიპოვა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ შოთა ხაბარელი (ძიუდო), ქეთევან ლოსაბერიძე (მშვილდოსნობა) და ვახტანგ ბლაგიძე (კლასიკური ჭიდაობა). მეორე ადგილები ვიქტორ სანეევმა (სამხტომი), საიდა გუმბამ (შუბი), თეიმურაზ ხუბულურმა (ძიუდო) და ალექსანდრე ანპილოგოვმა (ხელბურთი) დაიკავეს, ხოლო ლიანა ცოტაძე (წყალხტომა), ნიკოლოზ დერიუგინი (კალათბურთი), ალექსანდრე ჩივაძე (ფეხბურთი), თენგიზ სულაქველიძე (ფეხბურთი) და რევაზ ჩელებაძე (ფეხბურთი) ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.*

# ძლევისჯვრელი მძლეთამძლე



„მე ჯერ არავინ გამსხლტომია. ვერ გამიგია, შენ როგორ მოახერხე ეს?!" — ჰკითხა ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ შოთა ხაბარელს გერმანელმა ფალავანმა ჰერალდ ჰაინკემ, რომელიც 1979 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში ქართველ ძიუდოისტს შებოჭვას უპირებდა. ის იყო, ალემანმა ტატამზე დაიჭირა ჩვენებური, რომელიც წამით გაირინდა, თითქოს ბედს დამორჩილდაო, მაგრამ უეცრად მკერდის ტრიალით ისეთი აჰკრა მეტოქეს, რომ ჰაინკე იძულებული გახდა, უმალ ხელი გაეშვა, რომ კონტრილეთზე არ მოჰყოლოდა.

**— და მაინც, როგორ მოახერხეთ? — ვკითხე ერთხელ ბატონ შოთას.**

— ჩემი მწვრთნელის — გივი ზაუტაშვილის დამსახურებაა: ვარჯიშებისას იგი „მბოჭავდა" ან მტკივნეულ ილეთს მიტარებდა, თან მეუბნებოდა, სანამ თვითონ არ წამიხვალ, არ გაგიშვებო. მთელი ათი წუთი ვცდილობდი, დავსხლტომოდი. ძალიან მიჭირდა, რადგან მე 60 კილოს ვიწონიდი, ის კი 80 კილოზე მეტი იყო. მაშინ კი ვბრაზდებოდი, მაგრამ მერე დავრწმუნდი, რომ ზაუტაშვილმა იცოდა, რასაც აკეთებდა. რაც ტატამზე ვიდექი, არც ერთი პაექრობა შებოჭვითა და მტკივნეული ილეთით არ წამიგია.

ტატამზე კი, როგორც სპორტსმენი, შოთა ხაბარელი 10 წელი გამოდიოდა და ამ ხნის განმავლობაში ტიტულები და ჯილდოები არასდროს ჰკლებია:

1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული ევროპის ორგზის ჩემპიონია (1979, 1985) გუნდურ ჩათვლაში. პირად პირველობებში ამდენჯერვე ვერცხლის (1979, 1982) და ბრინჯაოს (1981, 1983) მედლები დაიმსახურა. 1983 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა საბჭოთა კავშირის ხალხთა მე-8 სპარტაკიადა მოიგო, ორი წლით ადრე კი საქართველოს აბსოლუტურ ფალავნობაზე აჯობა ყველას. სპორტის დამსახურებული ოსტატი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი 1996 წლიდან ედგა სათავეში ძიუდოისტთა ეროვნულ ნაკრებს. მისი ხელმძღვანელობით ქართველმა კიმონოიანებმა, რომ არაფერი ვთქვათ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე, ოლიმპიურ თამაშებში ორი ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, ხოლო ქვეყნის ნაკრებმა ორჯერ მსოფლიოს და სამჯერ ევროპის გუნდური ჩემპიონატები მოიგო, თავად მესაჭე კი ოთხჯერ (2002, 2003, 2006, 2008) კონტინენტის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს.

ყველაფერს საფუძველი მშობლიურ სოფელში — ძლევისჯვარში (ქარელის რაიონი) ჩაეყარა. 1956 წლის 26 დეკემბერს დაიბადა. რომ წამოიზარდა, ძმებმა — ჯემალ და ოთარ ხაბარელებმა ძლევისჯვარის ნახერხმოყრილ მოედანზე აზიარეს ჭიდაობის საიდუმლოებებს. ბევრჯერ უცდია მკლავისა და მუხლის ძალა. უფროსების შექებაც დაუმსახურებია — ჭიდაობას თუ გაჰყვები და არ იზარმაცებ, ისეთი ბიჭი ჩანხარ, სოფელს ასახელებო. გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ჩემპიონი გამხდარიყო. ეს სურვილი ერთმა შემთხვევამ გაუძლიერა.

— 1972 წელს მიუნხენში შოთა ჩოჩიშვილმა ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა, — იხსენებს ბატონი შოთა. — გორში დაბრუნებულს დიდი ზეიმი გაუმართეს. ხელში აყვანილი მოჰყავდათ ქართველი ფალავანი. ვინატრე — როდის იქნება, ჩემს სოფელში მეც ასე შემხვდნენ-მეთქი. დიდმა სურვილმა ცნობილ მწვრთნელ გივი ზაუტაშვილთან მიმიყვანა. მან კი ჩემს ოცნებას ცივი შხაპი გადაავლო, — რა დროს ჭიდაობის დაწყებაა, შენს ასაკში უკვე მსოფლიოს ჩემპიონები არიან და სარბიელს თავს ანებებენო. გული მაინც არ გავიტეხე. სოფელში ძმების დახმარებით ვვარჯიშობდი. გორში ერთ-ერთ შეჯიბრებაზე პირველი ადგილი რომ დავიკავე, მოულოდნელად გივი ზაუტაშვილი მომიახლოვდა და მითხრა — ხვალიდან ჩემთან ივლი სავარჯიშოდ, ოღონდ დაგვიანება არ გაბედოო. სიხარულით ცას ვეწიე...

სკოლის მერე სამხედროში გაიწვიეს და არმიის სასპორტო კლუბში განაგრძო წვრთნა ჯემალ ნათელაშვილის ხელმძღვანელობით. გულმოდგინედ ვარჯიშობდა და გარჯაც დაუფასდა: ზედიზედ ორჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში საპრიზო ადგილები დაიკავა. 1979 წელს საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელებმა იტალიაში (მილანი) ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე წაიყვანეს. ჩემპიონობა მოიპოვა. იმავე წელს ბელგიაში კონტინენტის პირად პირველობაზეც იასპარეზა.

— ცნობილ სპორტსმენებს ვძლიე და ფინალში გავედი, — მითხრა ბატონმა შოთამ. — გადამწყვეტი პაექრობისას ჩემი მეტოქე იყო გერმანელი ჰაინკე. თითო „კოკა" ავართვით ერთმანეთს. არბიტრებმა „ჰანტეით" უპირატესობა ალემანს მიანიჭეს.

**— ევროპაზე ფინალის დათმობის მერე მოსკოვის ოლიმპიადაზე როგორღა მოხვდით?**

— რუსებს ჩემს წონაში ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის — ალექსეი ვოლოსოვის გამოყვანა უნდოდათ. არადა, ამ საკმაოდ ძლიერ ძიუდოისტს ორჯერ ვძლიე მნიშვნელოვან შეჯიბრებებში, მათ შორის — 1980 წელს თბილისის საერთაშორისო ტურნირის ფინალში. დიდი როლი ითამაშა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბორის მიშჩენკომ, რომელიც მე მიჭერდა მხარს. რადგან ვერ შეთანხმდნენ, პოდოლსკში ორკვირიანი შეკრების შემდეგ შესარჩევი შეხვედრები გაიმართა. ქულებით ვძლიე ვოლოსოვს და საკავშირო ნაკრებშიც დავიმკვიდრე ადგილი. მიშჩენკომ გამაფრთხილა: „ცოტა მეტი გაისარჯე, შოთა! გახსოვდეს, სპორტსმენი ოლიმპიადაზე უმთავრესად სიცოცხლეში ერთხელ გადის".

**— თქვენც გახვედით მოსკოვის ტატამზე და ჩემპიონობაც მოიპოვეთ.**

— იოლი არ ყოფილა, ძლიერ ჯგუფში მოვხვდი. პირველსავე ორთაბრძოლაში ევროპის ოთხგზის ჩემპიონს, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორ გერმანელს — ჰერალდ ჰაინკეს ვძლიე და წინა წელს ევროპაზე მასთან მარცხისთვის რევანში ავიღე. მეორე წრეში ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი ბულგარელი გიორგი პეტროვი დავამარცხე, უკვე მეშვიდედ. ნახევარფინალში რუმინელ მირჩა ფრატიკას ვაჯობე „ვაზარით" და ფინალში გავედი, სადაც ჩემი მეტოქე იყო თითქმის ორმეტრიანი კუბელი გოლიათი ხუან ფერერი, რომელმაც ნახევარფინალში ვადამდე მოუგო ფრანგ ბერნარ ჩულუიანს.

ჩემთვის დაუვიწყარია ფინალური ორთაბრძოლა კუბელთან, რომელიც თითქმის 20 სანტიმეტრით მაღალი იყო და გრძელი მკლავები ჰქონდა. მიშჩენკომ მირჩია, მარცხენა ხელს თუ გაუთიშავ, მოიგებო. ტატამზე გასვლისთანავე ყველაფერი დამავიწყდა. მინდოდა ქამარში ჩამევლო ხელი და სარმა გამომედო, მაგრამ ქამარს ვერ მივწვდი. ამ ძიძგილაობაში „კოკა" ამართვა. მიშჩენკო და ქართველი მწვრთნელები მიყვიროდნენ, მარცხენა გაუთიშეო. მართლაც, ფერერს ცაცია დავუჭირე და ზედიზედ ორი კოკა და ამდენივე იუკო ავართვი, რამაც ოცნება რეალობად მიქცია. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. რაიონში ზღაპრული შეხვედრა მომიწყვეს. ცენტრალური ტრასიდან ჩემს სოფლამდე შვიდი კილომეტრი ზღვა ხალხით იყო სავსე. ეს გზა ბიჭებმა ხელში აყვანილი მატარეს. უსაზღვროდ ბედნიერს 1972 წელი გამახსენდა და თვალები სიხარულის ცრემლით ამევსო...

მოსკოვის ოლიმპიადის შემდეგ შოთა ხაბარელმა კიდევ 6 წელიწადი იჭიდავა. რამდენიმე მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია და 1986 წელს აქტიურ სპორტს თავი რომ დაანება, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. მისმა შეგირდებმა არაერთ შეჯიბრებაში ისახელეს თავი. განსაკუთრებით გამორჩეული მაინც 1989 წელია: მაშინ კობა კურტანიძე და ამირან ტოტიკაშვილი მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ, აკაკი კიბორძალიძემ მეორე, გია თენაძემ კი მესამე ადგილი დაიკავა.

**— ბატონო შოთა, წარმატებებთან ერთად გულისტკივილი და წყენაც არაერთხელ განგიცდიათ.**

— მესმის, მუდმივი და შეუცვლელი ამქვეყნად არაფერია, მაგრამ როგორ გინდა უმადურობას და უსამართლობას შეეგუო. გახსოვთ, რომ 2004 წელს ათენის ოლიმპიურ თამაშებზე თითო ოქროს და ვერცხლის მედალი მოვიპოვეთ და გმირად გამომაცხადეს, მომდევნო წელს კი ნაკრებისგან ჩემი ჩამოშორება მოინდომეს. მაშინ მე და ჩემმა მომხრეებმა შურსა და შუღლს ვაჯობეთ. 2009 წელსაც იგივე განმეორდა. არადა, წინა წელს პეკინში ირაკლი ცირეკიძემ ოქროს მედალი მოიპოვა, ტოკიოში კი ჩვენმა ნაკრებმა კორეელებს, ბრაზილიელებსა და რუსების მძლეველ უზბეკებს აჯობა და მეორედ დაიმსახურა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონობა. ფუჭი ამბიციებით შეპყრობილმა ადამიანებმა ამჯერად თავისი გაიტანეს...

ტატამს მიღმა დარჩენილ შოთა ხაბარელს სხვადასხვა ქვეყნიდან შეეხმიანენ — ეროვნული ნაკრები გუნდების თავკაცობას სთავაზობდნენ. დიდი ჩემპიონი და მწვრთნელი ცდუნებას არ აჰყვა, პირად სურვილებზე მაღლა სამშობლო დააყენა და საქართველოში დარჩენა ამჯობინა. მას შემდეგ, რაც ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა, ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრად აირჩიეს — დღეს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა, ისევ სპორტთან და სპორტში ტრიალებს.

**ვაჟა დანელია**



მესამე ასაკი

# ახალგაზრდობის მომავალი... სიბერეა!



**ამბობენ – „ზოგიერთები ისე ცხოვრობენ, თითქოს არც არასოდეს მოკვდებიან და კვდებიან ისე, თითქოს არასოდეს უცხოვრიათ“.**

ეს ნათქვამი ყველამ შეიძლება სხვადასხვანაირად აღვიქვათ, მაგრამ ხანდაზმულებისთვის ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებისთვის მათი განვლილი ცხოვრება, გარდა მათი საკუთარი მეხსიერებისა, წაშლილია, ხოლო სიტყვა „პენსიონერი“ უკვე ერთგვარად დამამცირებულ ელფერს იძენს. შესაბამისად, სიტყვა „პენსიაც“ ჩვენში იმ დატვირთვას ატარებს და თითქმის იმას მიუთითებს, რომ, მართალია, ის სასიცოცხლო მინიმუმზე ნაკლებია, მაგრამ აბა მეტს რას იმსახურებენ, ზოგიერთის აზრით, ადამიანები, რომლებსაც შვილიშვილებთან ჯდომის, სერიალების ყურებისა და პოლიკლინიკებში სიარულის მეტი თურმე აღარაფერი შეუძლიათ. უფრო მეტიც, თავისი ჩამქრალი თვალებით, ნაოჭებიანი კანით და პიგმენტური ლაქებით ისინი შესაძლოა, ახსენებენ ახალგაზრდებს, რომ ოდესღაც მათაც მოელით ეს ბედი. გარდა ამისა, პენსიონერები თითქოს ავალდებულებენ თავიანთ შვილებს, რომ ისინი შეინახონ, მოუარონ ავადმყოფობის დროს და ის ფული, რომელიც მათ მოგზაურობებში, რესტორნებში, ან ნივთების შეძენაში უნდა მოეხმარათ, ხშირად ექიმებში და წამლებში ეხარჯებათ. ამას დაუმატეთ მოსალოდნელი დაკრძალვის გაზრდილი ხარჯები, სარიტუალო პროცედურები და გასაგები გახდება, რომ არავითარი ხალისი პენსიონერებთან ურთიერთობის გარკვეული ტიპის ახალგაზრდებს, ალბათ, არ უნდა ჰქონდეთ. გამონაკლისს წარმოადგენენ ის პენსიონერები, რომლებიც ილუზიების გარეშე უყურებენ ამ ცხოვრებას და წინდახედულად ფული დააგროვეს ან უძრავი ქონება შეიძინეს ახალგაზრდობაში და შეუძლიათ დამოუკიდებლად იარსებონ, ხოლო შვილებს და შვილიშვილებს ჰქონდეთ იმის მოლოდინი, რომ ოდესღაც ეს ყველაფერი მათ დარჩებათ. ის პარადიგმა, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა, რაც ერის კულტურული დონის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია, პირდაპირ კავშირშია ხანდაზმულობასთან, ერთად პიროვნების ავტორიტეტსა და სოციალურ გარემოში მისი როლის ზრდასთან და არა იზოლაციასთან, არც არავის ახსოვს და არც არავის არა აქვს სურვილი ამის აღიარებისა.

რაც შეეხება ევროპელებს, კერძოდ ფრანგებს, ისინი ასაკოვან თაობას დელიკატურად და ჩვეული პრაგმატიზმით მიუდგნენ, სიტყვა პენსიონერი, რომელიც უფრო პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებშია გავრცელებული, ტერმინ „მესამე ასაკით“ შეცვალეს, რაც სიყმაწვილის და სიმწიფის შემდგომ პერიოდს ნიშნავს. ამ ასაკობრივ კატეგორიას მიაკუთვნეს შესაბამისი სოციალური უზრუნველყოფა, რაც უმეტესად მათი მუშაობის პერიოდში გამოქვითული თანხებისგან შედგება და დამოუკიდებელი ცხოვრების საშუალებას იძლევა. გაუხსნეს კეთილმოწყობილი თავშესაფრები და სასადილოები, ხოლო გარდაცვალების შემთხვევაში მაქსიმალურად გააიოლეს სახლიდან ან საავადმყოფოდან კრემატორიუმებში ან სასაფლაოზე გადატანის პროცესი, ბინებში პანაშვიდების მოწყობისა და უკანასკნელ გზაზე მანქანების კორტეჟით გაცილების გარეშე. ეს ყველაფერი ახალგაზრდული ფსიქიკის ნეგატიური სტრესებისგან გასათავისუფლებლად, ყოველდღიური პრობლემებისგან დასაცავად კეთდება. მაგრამ, ახსოვთ რა ერთი ცნობილი მწერლის სიტყვები, რომ „ახალგაზრდობის მომავალი სიბერეა“, ისინი აქტიურად ემზადებიან ამ პერიოდისთვის, და როდესაც საფრანგეთში საპენსიო რეფორმას ატარებდნენ, რაც საპენსიო ასაკის ერთი წლით დაწევას გულისხმობდა, საპროტესტო გამოსვლების ყველაზე აქტიური და აგრესიული მონაწილეები სწორედ ახალგაზრდები იყვნენ. ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ადამიანის სოციალური პრესტიჟი, მისი ჩართულობა საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, არა მისი ფიზიოლოგიური ასაკით, არამედ გონებრივი და პროფესიონალური პოტენციალით განისაზღვრება, რადგან ყველაფერი ინდივიდუალურია, და კაცი 20 წლის მოხუციც შეიძლება იყოს და 70 წლის ახალგაზრდაც, ხოლო ბებერი ნიანგი ახალგაზრდა ნიანგს ხშირად მხოლოდ ერთი ფაქტორის გამო ჯობნის, რომელსაც გამოცდილება ჰქვია.

**გივი გაბუნია,**
**არქიტექტორი.**

თინა, თემურ, თეონა, მამუკა დოლიძეები, ქეთი გერსამია ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ჟუჟუნა ხატიაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 VI, თბილისი, ირაკლი აბაშიძის 19. გამოსვენება ვაკის სამების ეკლესიიდან 11 VI, 14 სთ.

## ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი და ნარკოტიკი

**შსს-ს აჭარის ა/რ-ის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე საჯად დ.** ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, ხოლო 1956 წელს დაბადებული ასლან კ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

სამართალდამცველებმა, საჯად დ.-ს ნაქირავები ბინის ჩხრეკისას, 24 გრ გამომშრალი მარიხუანა, პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი, „LLAMA“-ს მოდელის პისტოლეტი და 10 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. ორივე დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

## თამბაქოს ნაწარმს საქართველოში უკანონოდ, კონტრაბანდული გზით ტოვებდნენ

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, საბაჟო კონტროლისაგან მალულად, საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით თამბაქოს ნაწარმის შემოტანის ფაქტზე, მიხეილ ლეჟავა დააკავა, ხოლო ირაკლი ნაფეტვარიძე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.**

ბრალდებულებმა, რომლებსაც საქართველოს ტერიტორიიდან უნდა მოეხდინათ თამბაქოს ნაწარმის რეექსპორტი, გაიარეს საბაჟო პროცედურები ფოთის „გეზში“, დაილუქა ავტომანქანა, რომელსაც უნდა გადაეკვეთა საქართველო – რუსეთის საზღვარი. ბრალდებულებმა, თამბაქოს ნაწარმის საქართველოში უკანონოდ, კონტრაბანდული გზით დატოვების მიზნით, ავტომანქანა მიიყვანეს წინასწარ განზრახულ ადგილზე, ლუქის დაუზიანებლად გახსნეს ავტომანქანა და ტვირთი დატოვეს საქართველოში, ხოლო საბაჟო გამშვებ პუნქტ „ყაზბეგის“ გავლით რუსეთის ფედერაციაში გადასვლას დალუქული, ცარიელი ავტომანქანით გეგმავდნენ.

დასეტყვილი მოსავალი

# წელს ქართულ ბაზარზე ვაშლის დეფიციტი გვექნება

**„სეტყვამ ვაშლიც და სხვა კულტურებიც დააზიანა, ამიტომ ქართულ პროდუქციას იმპორტირებული ჩაანაცვლებს“.**

**კარგი ხარისხის ქართული ვაშლის ფასი ბაზარზე 2,5-დან 3-ლარამდე მერყეობს. სეტყვამ, რომელმაც შიდა ქართლის სოფლები რამდენჯერმე დააზიანა, ზოგიერთ ფერმერს მოსავალი მთლიანად გაუნადგურა, ზოგს კი ვაშლის ბაღების უმეტესი ნაწილი დაუსეტყვა. გორელი და ქარელელი ფერმერები აცხადებენ, რომ წელს ქართული ვაშლი და სხვა კულტურები ადგილობრივ ბაზარს არ ეყოფა და მას უცხოეთიდან შემოტანილი პროდუქცია ჩაანაცვლებს.**

როგორც სოფელ რუისის მკვიდრმა, შპს „აგროს“ დირექტორმა თამაზ კუთხაშვილმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, ყველაზე მეტად სოფლები რუისი და ბებნისი დაისეტყვა.

„რუისში 6 ჰექტარი ფართობი გაგვინადგურა, ყველაფერი დაისეტყვა, რის გამოც ასპროცენტიანი ზარალი მივიღეთ. ერთ ჰექტარზე 20 ტონა ვაშლი უნდა მიგვეღო, იანგარიშეთ და ნახავთ, რომ დაახლოებით 120 ათასი ლარის ზარალი ვნახეთ. წელს ჩვენი ბაღიდან ერთი ცალი ვაშლიც კი არ ივარგებს, რაც დარჩა, ისიც ძირს ჩამოცვივდება. ეგ კი არა, სეტყვამ ხეებს ტოტებიც დაუმტვრია, კვირტებიც ძირს ჩამოყარა და მომავალ წელს თუ მოისხამს, ესეც არ ვიცი. მოსავალი დაზღვეულიც არ მაქვს, არც კომპენსაციაზეა ლაპარაკი და არც არაფერზე. მხოლოდ კერძო მესაკუთრეებს ეხმარებიან და ერთ ჰექტარზე 180 ლარს აძლევენ, იურიდიულ პირებს კი – არა. 180 ლარი არაფერია იმ ზარალთან, რაც ხალხმა ნახა, შეიძლება ზოგმა არც კი აილოს“, – განაცხადა „აგროს“ დირექტორმა.

მოსავლის ნაწილი გადაურჩა ნუკრი პაპუნაშვილს, რომელსაც სოფელ შინდისში აქვს მეურნეობა, თუმცა მისი მდგომარეობაც არ არის სახარბიელო:

– სეტყვამ გორის რაიონის სოფელ შინდისში მცხოვრებ გლეხებს მოსავალი მთლიანად გაუფუჭა. მე დაახლოებით მოსავლის 70-80 პროცენტი გამინადგურა. ვაშლის ხეები გადარჩა, მაგრამ ნაყოფი სულ განადგურდა. სანერგე მეურნეობაც მაქვს და იქაც, მოსავლის დიდი ნაწილი დააზიანა. ლამის, კვირაში ორჯერ მოდის სეტყვა და აბა რას იზამდა? რუისში და ბებნისში მთელი მოსავალი გაანადგურა. ასევე განადგურდა საქაშეთის, ქიწნისის, ახალუბნის ტერიტორიაზე გაშენებული ბაღები და სანერგე მეურნეობებიც. თავისთავად ცხადია, რომ ქართული ვაშლი ბაზარზე წელს იმ რაოდენობით ველარ იქნება, რა რაოდენობითაც წინა წლებში იყო და მისი ხარისხიც უფრო ნაკლები იქნება. რაც გადარჩება, ისიც სეტყვისაგან დახეთქილი და დაზიანებული იქნება. ამიტომ, უცხოეთიდან შემოტანილი ვაშლი მომრავლდება, რომელიც ვიზუალურად ჩვენებურ ვაშლს ყოველთვის ჯობდა, მაგრამ გემოთი ვერ შეედრება. რა თქმა უნდა, ბაზარზე ჩვენებური ვაშლის დეფიციტი თუ იქნება, ეს ქართულ ვაშლს კიდევ უფრო გააძვირებს.

ამ აზრს იზიარებს ფერმერი ზურაბ დავითაშვილიც:



– მე ქარელის რაიონის სოფელ აფნისში 17 ჰექტარზე მქონდა ბაღი გაშენებული, ძველი ჯიშები განვაახლე და იტალიიდან შემოტანილი ჯიშები გავაშენე. სეტყვამ იქაურობა საკმაოდ დააზიანა. ვაშლის ხეებს ტოტებიც კი ჩამოამტვრია და ნაყოფს რაღას უზამდა? ეს იყო თანამედროვე, ევროპული დონის ბაღი. იქვე მარწყვი მქონდა გაშენებული, ისიც იტალიიდან იყო ჩამოტანილი და სულ მომისპო. ვაზიც დასეტყვა. ყველაფერი მაღალ დონეზე მქონდა გაკეთებული, მაგრამ ახლად გაშენებული ბაღი იყო და ჯერ დაზღვეულიც არ მქონდა, ვერ მოვასწარი – ვფიქრობდი, რა მეჩქარება, ცოტა მოგვიანებით დავაზღვევ-მეთქი. 80 ტონამდე ხორბალსაც ველოდი და სეტყვამ ისიც გაანადგურა. მარტო ვაშლი და ხილი კი არა, სხვა კულტურებიც მოსპო – ისეთი ამინდი იყო, რომ ყველაფერი დალეწა და დაანგრია. ახლაც სულ წვიმებია, მიწაც სველია და ჯერჯერობით გლეხებს ყველაფერი მოუვლელი რჩებათ.

შპს „ფრუიტილიას“ დამფუძნებელ ვახო ბეჟიტაშვილს ვაშლი ექსპორტზე გააქვს, ძირითადად ყაზახეთსა და რუსეთში. ის ამბობს, რომ მოსავლის სიმცირემ ექსპორტზეც სერიოზულად იმოქმედა: „ნებისმიერ შემთხვევაში მოგვიწევს ვაშლის და ხილის იმპორტი. იმპორტირებული ვაშლი კი, ყოველთვის ძვირია ადგილობრივთან შედარებით, რადგან მის ფასს გზის და განბაჟების ხარჯები ემატება, ამას მოგების მარჟაც თან ერთვის და ეს ყველაფერი პროდუქციას აძვირებს. ვფიქრობ, რომ ქართულ ბაზარზე არა მარტო ვაშლის, არამედ სხვა ადგილობრივი კულტურების დეფიციტიც შეიქმნება“.

**ბიზნესპრესნიუსი**

## საქართველო მშვიდობის გლობალურ რეიტინგში 162 შორის 85-ე ადგილს იკავებს

**გასულ წელთან შედარებით, საქართველომ პოზიცია შვიდი საფეხურით გააუმჯობესა. 2015 წლის ანგარიშის თანახმად, ქვეყანა 92-ე ადგილზე იყო, 2014 წელს კი - 117-ე ადგილს იკავებდა.**

ანგარიშის მიხედვით, გასულ წელს მსოფლიოში შეიარაღებული კონფლიქტების დროს დაღუპული ადამიანების რაოდენობა ბოლო 5 წელიწადში რეკორდული იყო, ხოლო დევნილების რიცხვმა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის მაქსიმუმს მიაღწია.

კვლევის თანახმად, საცხოვრებლად ყველაზე საშიში ქვეყანა სირიაა, რომელსაც სამხრეთ სუდანი, ერაყი, ავღანეთი და სომალი მოჰყვება.

ქვეყნების რეიტინგი 23 ფაქტორით განისაზღვრა. შიდა ფაქტორებში ძალადობა და დანაშაულის მაჩვენებელი, საგარეოში კი სამხედრო ხარჯები და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაა.

## დღესასწაული

# ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი




**9 ივნისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს უფლის ამაღლებას.**

...ცნობილია, რომ უფალი იესო ქრისტე ორმოცი დღის მანძილზე მიწაზე იმყოფებოდა და მოწაფეებს ათჯერ გამოეცხადა. ამ ქვეყნად ხილული ყოფნის უკანასკნელ დღეს მან მოციქულებსა და მოწაფეებს უბრძანა, იერუსალიმს არ გაშორებოდნენ, ელეონის მთაზე გაუძღვა მათ, იქ უქადაგა და სასწაულებრივი ძალის მოვლინება აღუთქვა. „მიიღოთ სული წმიდაი“.

უფალი იესო ქრისტეს ამაღლების დროს იქ ყოვლად წმინდა ღვთისმშობელიც იყო.

ეკლესიამ დააწესა დღესასწაული უფლის ამაღლებასთან დაკავშირებით, რომელიც აღდგომიდან მეექვსე კვირის ხუთშაბათს ყოველწლიურად აღასრულებს.

**გიული ლიპარტია**

## ნუ გეშინიათ, მშობლებო!



**ბავშვები ზოგჯერ ძილში ლაპარაკობენ, რაც, ცხადია, მშობლებს ადარდებთ.**

მედიკოსების დაკვირვებით, ძილის დროს თავის ტვინი დღის განმავლობაში მიღებული ინფორმაციის გადამუშავებას განაგრძობს, რაც სიზმრების სახით ვლინდება. ზოგიერთნი სიზმრებს ხმის ამოუღებლად ნახულობენ, ზოგნიც „ახმოვანებენ“.

ბავშვები, რომელთა ფსიქიკა ბოლომდე ჩამოუყალიბებელია, ყველაფერს დიდებზე გაცილებით ემოციურად აღიქვამენ, ამიტომაც ძილში უფრო ხშირად ლაპარაკობენ. ამდენად, საგანგაშო ამ დროს არაფერია.

## სახალისო სწავლა



**ფრანგმა მეცნიერებმა ერთობ საგულისხმო ექსპერიმენტი ჩაატარეს: ერთი ჯგუფის ბავშვებს ინფორმაციას სახალისო დეკორაციების მეშვეობით აწვდიდნენ, მეორეს გაკვეთილს სერიოზული მასწავლებელი უხსნიდა.**

შედეგად გაირკვა, რომ პირველი ჯგუფის ბავშვებმა ინფორმაცია უკეთ აითვისეს. მკვლევართა დასკვნა კი ასეთია: უკეთესად ის ბავშვები სწავლობენ, ვისთვისაც სწავლას სიხარული მოაქვს.

## დედობის მადლი



**ქალები, რომლებიც პირველ ბავშვს 26-სა და 30 წელს შორის პერიოდში ბადებენ, უფრო დიდხანს ცოცხლობენ.**

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ სწორედ ასაკის ამ შუალედში მშობიარობა ყველაზე კარგად მოქმედებს ქალის ჯანმრთელობაზე.

გარდა ამისა, გაირკვა, რომ ნამშობიარებ ქალებში, უშვილოებთან შედარებით, სიკვდილიანობა უფრო ნაკლებია. აღსანიშნავია ისიც, რომ უფრო დიდხანს ის ქალები ცოცხლობენ, ვინც ბავშვს ძუძუს აჭმევდა.

## ქართული ფილმები საერთაშორისო ფესტივალზე

**საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიის ფილმმა „ვაზში დაკარგულები“, როგორც საუკეთესო ნამუშევარმა, საფრანგეთის OENOVIDEO-ს საერთაშორისო ფესტივალზე ორი პრიზი მიიღო: ჟიურის მთავარი პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის და სპეციალური პრიზი „პეიზაჟი და გარემო“, – ქვეყნის საუკეთესოდ წარმოჩენისთვის.**

ფილმის ავტორი და პროდიუსერია ქეთევან სადღობელაშვილი, რეჟისორი – გიორგი მოლოდინაშვილი.

ფესტივალზე სპეციალური პრიზი მიიღო კიდევ ერთმა ქართულმა ფილმმა, რომელიც შალვა ხეცურიანმა და ნანა ჯორჯაძემ გადაიღეს.

საფრანგეთის OENOVIDEO-ს საერთაშორისო ფესტივალი 23 წლის ისტორიას ითვლის და საფრანგეთის სამხრეთში, ვაზისა და ღვინის რეგიონებში ტარდება, წელს ფესტივალს მუსკატის სამშობლომ, ფრონტინიანმა უმასპინძლა. ფესტივალი ვაზისა და ღვინის შესახებ გადაღებულ ფილმებს ერთიანებს. 16 ქვეყნიდან წარმოდგენილი 103 ფილმიდან 28 ფილმი შეირჩა საკონკურსოდ, ჟიურის თავმჯდომარეობდა ფილიპ მუილი, ცნობილი რეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი.

გამარჯვებული ფილმების დაჯილდოების ცერემონიალი 14 სექტემბერს, პარიზში, ლუქსემბურგის სასახლეში გაიმართება.

## პატარას ოთახში ნუ გამოკეტავთ!

**ერთობ საგულისხმო ამბის შესახებ განაცხადეს პედიატრებმა იმ მშობლებისთვის, ვისაც პატარა ბავშვები ჰყავთ. აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მეტ დროს ატარებს ბავშვი ოთახის გარეთ, სუფთა ჰაერზე, მით უკეთესი მხედველობა აქვს.**

დღის შუქზე ხანგრძლივი ყოფნა ხელს უწყობს დოპამინის გამომუშავებას, რომელიც ხელს უწყობს თვალის კაკლის ზრდას. ამის გარდა, ქუჩაში, პარკში, ეზოში, მოკლედ, ნაგებობის გარეთ, ბავშვს შორეულ საგნებზე მზერის ფოკუსირების უფრო მეტი საშუალება აქვს, რაც თვალს ავარჯიშებს.




## ყვარელში ასწლოვან ხეებს ჭრიან

**ყვარლის რაიონის სოფელ შილდის ცენტრში მდებარე სკვერთან სამუშაოები ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვით მიმდინარეობს.** ადგილობრივები ამბობენ, რომ ნაძვის, ცაცხვისა და კედარის ხეების განადგურება უკანონოდ ხდება და ფიქრობენ, რომ მასალა გასაყიდად მზადდება. რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარეს, მისი ინფორმაციით, ხელისუფლებამ რამდენიმე ოჯახის მოთხოვნა გაითვალისწინა. მისი თქმით, ხეების ყვავილობის დროს გამოყოფილი მტვერი დაავადებების გაჩენას იწვევდა.



რეკლამა
293-37-87
599 79-76-79

## ცინცხალი ანეკდოტები

– იცით, ქეთევან, ყოველ დილით, თვალს როგორც გავახელ, ჩემი პირველი ფიქრი თქვენა ხართ! – ეუბნება ზაქარა.

– კი მაგრამ, გიორგიც იმავეს რომ მეუბნება?!

– ეგეც ეგრეა, მაგრამ მე მაგაზე ერთი საათით ადრე მეღვიძება!..

* * *

წიგნის მაღაზიაში:

– მინდა ორი-სამი წიგნი შევიძინო.

– რამე მსუბუქი გნებავთ?

– მაგას მნიშვნელობა არა აქვს, მანქანით ვარ მოსული.

* * *

ერთ-ერთ წვეულებაზე გენიალური კომიკოსი ტოტო ვიღაც მდიდარ ამერიკელს წარუდგინეს.

– იცით, ბატონო, ნიჭიერი კაცი ჩანხართ, იქნებ კინოში გეცადათ ბედი! – უთხრა მილიონერმა.

– მაგრამ მე ხომ ტოტო ვარ!

– მერე რა, შეგიძლიათ სახელი გამოიცვალოთ და ფსევდონიმი აიღოთ!..

წყნარი ოკეანის ერთ-ერთ კუნძულზე მოგზაური ეკითხება ადგილობრივ მცხოვრებს:

– კი მაგრამ, ამ სიმაღლე პალმებზე რომ მიძვრებით ქოქოსების მოსაკრეფად, ჩამოვარდნის არ გეშინიათ?

– ჩვენ პალმებზე არ ვძვრებით, მწიფე ნაყოფებს ქარი აგდებს და ამით ჩვენ საკეთებელ საქმეს აკეთებს.

– კი, მაგრამ როცა ქარი არ არის?

– მაშინ ქოქოსის მოუსავლიანი წელი გვაქვს ხოლმე...

* * *

ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროს მეპატრონე ტურისტული სეზონის დასრულების შემდეგ ცოლს ეუბნება:

– ვშიშობ, გაისად, ზოგიერთ ნომერზე მაინც, ფასების დაკლება მოგვიწევს.



– ეგ ვითომ რატომ?

– რატომ და იმიტომ, რომ ჩვენთან გაჩერება შედარებით ღარიბმა მილიონერებმაც რომ შეძლონ!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.142; ევრო - 2.386;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.087;
100 რუბლი - 3.199; თურქული ლირა - 0.726;
აზერბაიჯანული მანათი - 1.442;
1000 სომხური დრამი - 5.475

**ამინდი 9 ივნისისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +12, | დღე +26 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +6, | დღე +22 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +13, | დღე +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +7, | დღე +21 |
| თბილისი: | ღამე +15, | დღე +25 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE